ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 23 – 24 ნოემბერი, 2019

№278 (8232)

ფასი: 60 თეთრი

ლევან კობერიძე: „2012 წელს ხელისუფლებაში რეჟიმი იყო, ახლა კი თაღლითების გუნდია“

„ნაციონალური მოძრაობის მიერ მართულ არც ერთ აქციას არ შევუერთდები“

გვ.3

20 ნოემბრიდან

მარგარეტ ტეთჩერი

როგორც თავად იტყოდა

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

„ოქრუაშვილის წინააღმდეგ ჩვენება გურამ დონაძემ და ზურაბ მიქაძემ მისცეს“

გვ.5

სანაცვლოდ მათ ციხიდან გამოუშვებენ

გვ.3

ბაჩუკი ქარდავა: „ოცნებას“ ახლა 5%-ზე მეტი რეიტინგი არ ექნება“

„მას მოუწევს პროპორციულ სისტემაზე დაბრუნება“

„ძიძიგური რომ იტყვის, „ოცნება“ იტყუებაო, იქ საერთოდ რაღაზე უნდა ვილაპარაკოთ!“

გვ.2

„ლევან ხაბეიშვილი: „ივანიშვილი საერთაშორისო თაღლითია“

ანზორ აბრალავა: „ჩავატაროთ რეფერენდუმი და ხალხმა აირჩიოს, როგორი საარჩევნო სისტემა ურჩევნია“

გვ.4

პეტრე მამრაძე: „არ ვამართლებ ხელისუფლების მორიგ პოლიტიკურ იდიოტიზმს“

გვ.2

სუსის უფროსმა დაღუპული სპეცრაზმელის, ივანე გოლაშვილის ხსოვნას პატივი მიაგო

გვ.5

ვახტანგ გომელაური პარიზში საფრანგეთის შს მინისტრ კრისტოფ კასტანერს შეხვდა

საფრანგეთი თავშესაფარს შესთავაზებს მხოლოდ იმ ქართველებს, ვინც ამას ნამდვილად იმსახურებს

გვ.4

ISSN 1987-9385

2 ასტამურ შამბა სოხუმის სანაპიროზე მოკლეს

5 ნარკომოვაჭრეებს 9 და 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ

6 მიხეილ გორბაჩოვი: „საბჭოთა კავშირის დაშლა კანონზომიერი იყო“

7 საქართველოს ნაკრების ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი იზრდება

„ძიძიგური რომ იტყვის, „ოცნება“ იტყუებაო, იქ საერთოდ რალაზე უნდა ვილაპარაკოთ!“

„ლევან ხაბეიშვილი: „ივანიშვილი საერთაშორისო თაღლითია“

ნონა ცაბაძე

რა გეგმები აქვს ოპოზიციას, რამდენად მიაღწევს ასეთი პატარ-პატარა აქციებით შედეგს და ეს ყველაფერი ხომ არ იღებს მასკარადის ხასიათს? დაუთმობს თუ არა ბიძინა ივანიშვილი პროპორციულ არჩევნებს? „ახალ თაობას“ ამ და სხვა საკითხებზე **ლევან ხაბეიშვილი** ესაუბრება.

– ლევან, საზოგადოების ნაწილი უკვე სერიოზულად გაკრიტიკებთ. კეთდება შეფასებები, რომ ამ ყველაფერმა არასერიოზული ხასიათი მიიღო, რომ სპექტაკლებს დგამთ და ასე ვერ მოერევით ბიძინა ივანიშვილს. რით უპასუხებთ, რას იტყვით ამ ყველაფერზე?

– მაგას ვინც ლაპარაკობს, იმას ურჩევნია, გარეთ გამოვიდეს და ჩვენთან ერთად გააპროტესტოს. პრეტენზიები ჩვენი მისამართით ცოტა უცნაურია. უკვე ფიზიკურად ვიბრძვით. არავის დაავიწყდეს, რომ 37 კაცი 1 დღეს დააკავეს და მერე კიდევ 4 ახალგაზრდა დააკავეს. მათ შორის არიან პოლიტიკური ლიდერები. საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე ჰყავთ დაკავებული. ბევრ ლაპარაკს ურჩევნიათ, ყველა ჩაერთოს ბრძოლაში. ეს პოლიტიკური ბრძოლა კი არ არის.

– აბა რა არის?

– ჩვენ ვითხოვთ სამართლიან არჩევნებს და მორჩა! რომელიმე პარტიას კი არ ვითხოვთ, ხელისუფლების წყარო არის ხალხი და ხალხს უნდა დაუბრუნდეს არჩევანის უფლება! ჩვენ ამას დაგვპირდნენ. არა უბრალოდ ჩვენ გვითხრეს, გაეროს ტრიბუნიდან დაგვპირდნენ ამას. ამიტომ მნიშვნელოვანია, ყველა იყოს ამ ბრძოლაში ჩართული.

თურმე ამან თეატრალური სახე მიიღო და თურმე ბრძოლა არ მოსწონთ, მაშინ გამოვიდნენ და თვითონ გვაჩვენონ უკეთესი ხერხები. ოპოზიცია თავს არ ზოგავს, იბრძვის. პიკეტირებსაც ახდენს, არაფერსაც არ უშინდება, მათ შორის აკავებენ ჩვენს ლიდერებს, ჩვენს აქტივისტებს და მეტი რა გავაკეთოთ.

– ასეთი მოქმედებები შედეგს ვერ გამოიღებსო, ამას ამბობენ.

– ჰო, ეგრე იძახონ, შედეგი არ ექნებაო, სახლში ისხდნენ თბილად და კომპიუტერზე არაკუნონ, მერე ფეისბუქზე პოსტები გამოაცხონ და ასე დაამთავრებენ ივანიშვილს! ვინც ამას ბოდიალობს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ამდენ ლაპარაკს ურჩევნია, საქმეში ჩაერთოს!

– კრიტიკას ვერ უძლებდა ის ყველაფერი, რაც ბოლო დღეებში სასამართლოში ხდებოდა. ისმის კითხვა, რისთვის გაუშვეს ეს ბიჭები ციხეში?

– სწორედაც. იმაზე ლაპარაკს, რომ ვიღაცას ჩვენი პროტესტი არ მოსწონს, იმაზე ილაპარაკონ, რაც სასამართლოში ხდება. ან სასამართლო სად არის?! ვალერიან ივანიშვილ-გახარია იყო ის სამარცხვინო მოსამართლე. ხალხი გაოცებულია, ყველა პირდაღებული დარჩა. მტკიცებულება არ წარმოუდგენიათ არც ერთი და კოპიფეისტით არის გადაღებული 37-ვე ოქმი. მერე კიდევ 4 ოქმი დაამატეს და იქაც იგივე წერია.

რამე განსხვავებულს აკეთებს მოსკოვში პუტინი?! ზუსტად იგივეს აკეთებს ივანიშვილი, რასაც პუტინი. ივანიშვილიც ან კლავს, ან იჭერს და ან არბევს.

– ვინ მოკლა?

– დაავიწყდა საზოგადოებას ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობა? ეს ვინმემ გამოიძია?! სწორედ ეროსის მკვლელობის შემდეგ დაიწყო რუსთავი 2-ის პრობლემები.

– როგორ განვითარდება პროცესები და რა გეგმები გაქვთ?

– ბრძოლა იქნება ბოლომდე! მარტო პოლიტიკურ პარტიებს ნუ მიჩერებია ხალხი. მე ამ პოლიტიკურ პარტიაში კი არ დავბადებულვარ. ჯერ ვარ ამ ქვეყნის, საქართველოს მოქალაქე.

– მოსახლეობის დიდ ნაწილში განცდაა, რომ მობეზრდებათ და დაიშლებიან, როგორც 20 ივნისს მოხდა. ასე არ იქნება?

– მე არ ვიცი, მოსახლეობის რა ნაწილი ფიქრობს ასე, ეტყობა, ქოცების მხარდამჭერები, თავზე რომ გადაუვლიან, რომ ატყუებენ და მაინც ტაშს რომ უკრავენ და მაინც რომ მოსწონთ. ეტყობა, ასეთ ხალხზე ლაპარაკობთ, თორემ დანარჩენ საზოგადოებას, არა მგონია, ეგ წარმოდგენები ჰქონდეს. მე არ მგონია, ჭკუათმყოფელ ადამიანს მოსწონდეს, რომ ატყუებენ.

– ყველგან უამრავი პოლიციელი გხვდებათ, სადაც კი მიდიხართ. შეშინებულია ივანიშვილი?

– რა თქმა უნდა! შეშინებული რომ არ იყოს, აბა, პროპორციულ არჩევნებზე უარი რატომ თქვა?! ამას 1 კვირაში აირაის კვლევები მოჰყვა და „ქართულ ოცნებას“ 23% აქვს. მასზე ორჯერ მეტი აქვს ოპოზიციას.

საერთოდ რაზე ვლაპარაკობთ. თავისი შიდა კვლევებიც ჩაატარეს და მშვენივრად იცოდნენ, რა მხარდაჭერაც ჰქონდათ.

ეს კაცი არის საერთაშორისო აფერისტი, ოფიციალურად ასეა. ქართველებს ხომ გვატყუებენ და პრემიერ-მინისტრს გაეროდან ათქმევინა, პროპორციულზე გადავედითო – საერთაშორისო თაღლითია ივანიშვილი!

– საკუთარი უმრავლესობაც შესწირა ამ პროცესს. ამდენად ულირდა ძველი სისტემა?

– ძიძიგური რომ გამოვა და იტყვის, იტყუებიან და აქ მორალი აღარ არისო, საერთოდ, რაზე უნდა ვილაპარაკოთ! მართლა არავინ დარჩათ ისეთი, ინგლისური და კომპიუტერი რომ იცოდნენ. ყველა წამოვიდა ჩუგოშვილიდან დაწყებული. საერთოდ ვინ დარჩათ გუნდში?! დარჩნენ მონები! ქანთარიები, ქვარაიები და ხუნდაძეები.

– რა გეგმები აქვს ოპოზიციას, ამ ახალგაზრდა აქტივისტებს? ორშაბათსაც დიდი აქციაა დაანონსებული.

– ჩვენი გეგმა არის ერთი და უცვლელი – ბრძოლა ბოლომდე! მორჩა და დამთავრდა!

– სპეცრაზმი გამოჰყავთ, როდესაც დიდი აქციაა, იჭერენ თქვენს აქტივისტებს.

– რამდენს დააკავებენ, რამდენს შეაშინებენ?! ქართველი ხალხი ვინმემ რამით შეაშინოს, ეს ხომ გამორიცხულია! ისეთი პროცესები დაიწყო, ძიძიგურს დავესესხები და ისეთი ჯინი ამოუშვეს, რომ ვეღარ ჩასვამენ, გამორიცხულია! როცა ხელისუფლება სპეცრაზმით ელაპარაკება თავის ხალხს, მორჩა, ის უკვე ხელისუფლებაში აღარ არის!

ეგენი არიან პოლიციელებს ამოფარებული ტიპები, რომლებიც ძალაუფლებას და სკამებს არიან ჩაბღაუჭებული.

– სიტუაცია მივა ვადამდელ არჩევნებამდე თუ დაიხევს ივანიშვილი უკან და დაუჭერს მხარს პროპორციულ არჩევნებს?

– ან უკან დაიხევენ, ან იქამდე მივა სიტუაცია, რომ ბიძინა წავა საქართველოდან. მეტი გამოსავალი არ არის. თუ ჭკუას იხმარს და დათმობენ, ხომ კარგი, თუ არა და აუცილებლად მოუწევს ბიძინას ქვეყნის დატოვება.

ივანიშვილს ჩალაგებული უნდა ჰქონდეს ჩემოდანი. ეს პროცესი დამთავრდება ან ივანიშვილის წასვლით, ან პროპორციულის მიღებით და ამ მთავრობის გადადგომით! ხვალ თუ ზეგ ეს ბრძოლა დამთავრდება ჩვენი გამარჯვებით. „ოცნება“ უკვე ხელისუფლებაში აღარ არის, მათ არც ერთი პრობლემის მოგვარება არ შეუძლიათ. მათ ხალხისთვის მხოლოდ პრობლემის შექმნა შეუძლიათ.

ხალხს ვურჩევ, რომ გარეთ გამოვიდეს და გვერდით დაგვიდგეს. მეც შეიძლება ბევრი ვინმე არ მომწონდეს, მაგრამ დღეს ეს არაფერს ნიშნავს. დღეს, ყველა ერთად, თავისუფალ არჩევნებს ვითხოვთ. მერე ხალხმა გადაწყვიტოს, ვის აირჩევს.

– ისევ ერთიანია ოპოზიცია? ითქვა, რომ უსუფაშვილი და კიდევ რამდენიმე პარტია განსხვავებულ პოზიციას აფიქსირებენ.

– რა თქმა უნდა, ერთიანია. არ ვიცი, ვინმეს სხვა აზრი თუ აქვს. ამ დროისთვის ყველა ერთიანია. ან როგორ შეიძლება, რომ ერთიანი არ იყოს, საერთოდ რაზე ვლაპარაკობთ?!

უსუფაშვილმა რა უნდა გააპროტესტოს, თავისუფალი არჩევნები?! ჩვენ ყველას გვინდა თავისუფალი არჩევნები და მერე ხალხმა გადაწყვიტოს, უსუფაშვილი უნდა, ელისაშვილი, ხაბეიშვილი თუ ბურჯანაძე!

თავისუფალ არჩევნებს ვითხოვთ, მორჩა, დამთავრდა, წერტილი! ვინც ამ პროცესში არ იქნება, ის თავად გამოაცხადებს, რომ მიყიდულია ივანიშვილს!

ივანიშვილი ქართველ ხალხს არჩევანს ვეღარ წაართმევს.

შემოსავლების სამსახურის უფროსად შს მინისტრის მოადგილე ლევან კაკავა დაინიშნა

21 ნოემბერს ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებს ახალი ხელმძღვანელი – ლევან კაკავა წარუდგინა.

მისი თქმით, უწყების ახალ ხელმძღვანელს აქვს სისტემაში მუშაობის გამოცდილება, საკმაოდ ძლიერი მენეჯერული თვისებები და არის მაღალი რანგის პროფესიონალი.

– პრემიერთან გამართული კონსულტაციების შედეგად მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელი ვახტანგ ლაშქარაძე დატოვებს პოსტს და აღნიშნულ თანამდებობას დაიკავებს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ლევან კაკავა.

მას აქვს შემოსავლების სამსახურში მუშაობის გამოცდილება – ეკავა შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილის თანამდებობა. სხვადასხვა წლებში მუშაობდა ჩვენს მომიჯნავე ორგანიზაციებში, როგორც საგამოძიებო სამსახურში, ასევე ძალოვან უწყებებში და ჰქონდა შეხება ეკონომიკურ სფეროსთან და ფინანსებთან. ლევანი არის მაღალი რანგის პროფესიონალი და აქვს საკმაოდ ძლიერი მენეჯერული თვისებები, – აღნიშნა ფინანსთა მინისტრმა.

მან ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ახალ უფროსს წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში და აღნიშნა, რომ მისი ხელმძღვანელობით უწყება გააგრძელებს დაწყებული რეფორმების კურსს.

შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელად დანიშვნამდე ლევან კაკავას ეკავა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობა, 2017 წლის აგვისტოდან – 2017 წლის ნოემბრამდე იყო შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილე, გასულ წლებში, სხვადასხვა პოზიციაზე, მუშაობდა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში.

„საპროტესტო აქციებზე სუსის თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილებების განხორციელება კანონდარღვევას არ წარმოადგენს“

22 ნოემბერს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა განცხადება გავრცელა, რომელშიც ნათქვამია:

„გვსურს გამოვეხმაუროთ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებისა და აქტივისტების განცხადებებს იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები იმყოფებოდნენ საპროტესტო აქციებზე და მიმდინარე პროცესების ფოტო/ვიდეოგადაღებებს აწარმოებდნენ. აღსანიშნავია, რომ ხსენებულ პირებს არ წარმოუდგენიათ არანაირი მტკიცებულება იმის დამადასტურებლად, რომ კონკრეტულ საპროტესტო აქციებზე მყოფი პირები სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები არიან.

ამასთანავე, გვსურს კიდევ ერთხელ განვმარტოთ, რომ საპროტესტო აქციებზე ან სხვა მასობრივი შეკრების ადგილებში უწყების თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილებების განხორციელება კანონდარღვევას არ წარმოადგენს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, საგამოძიებო ქვემდებარეობისთვის მიკუთვნებულ დანაშაულებთან დაკავშირებით მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან ასაცილებლად, კანონით დადგენილი წესით განსაზღვრული უფლებამოსილებების შესასრულებლად („საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11, მე-12 მუხლები), ახორციელებს პრევენციულ და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს, აგრეთვე საგამოძიებო მოქმედებებს, რომლისთვისაც ამ კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში იყენებს ოპერატიულ-ტექნიკურ საშუალებებს (ამავე კანონის 43-ე მუხლი).

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები, სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელების პროცესში, „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, კანონიერების, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის, დისკრიმინაციის დაუშვებლობისა და პოლიტიკური ნეიტრალობის პრინციპებით მოქმედებენ.“

კვიპროსში საქართველოს 17 მოქალაქე დააკავეს

კვიპროსში საქართველოს 17 მოქალაქე დააკავეს.

ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, მათ ქვეყანაში არალეგალურად ყოფნა ედებათ ბრალად. გავრცელებული ცნობით, ისინი ქალაქ ლიმასოლში, სამშენებლო კომპანიაში ყალბი დოკუმენტაციის გამოყენებით დასაქმდნენ.

საქართველოს მოქალაქეებს სასამართლომ რვადღიანი პატიმრობა შეუფარდა. რის შემდეგაც არალეგალებს დეპორტაცია ემუქრებათ.

სუსის უფროსმა დაღუპული სპეცრაზმელის, ივანე გოლაშვილის ხსოვნას პატივი მიაგო

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი გრიგოლ ლილუაშვილი მოადგილეებთან: შენგელი ფიცხელაურთან, ალექსანდრე ხოჯევანიშვილთან, გიგა ნიკოლეიშვილთან, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე იოსებ ჭელიძესთან, იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ტაბატაძესთან, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსის მოადგილე ალექსი ბატიაშვილთან, ასევე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელ პირებთან და თანამშრომლებთან ერთად, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებული კონტრტერორისტული სპეცოპერაციის დროს დაღუპული სპეცრაზმელის, ივანე გოლაშვილის გარდაცვალების ორი წლისთავთან დაკავშირებით მის საფლავზე მივიდა. გრიგოლ ლილუაშვილმა დაღუპული სპეცრაზმელის ხსოვნას პატივი მიაგო და მისი ოჯახის წევრებს მიუსამძიმრა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომელი ივანე გოლაშვილი 2017 წლის 21-22 ნოემბერს, თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე, ახმედ ჩატაევის და მისი დაჯგუფების წინააღმდეგ ჩატარებული კონტრტერორისტული სპეცოპერაციის დროს დაიღუპა. სპეცოპერაციის დროს ასევე დაიჭრა ოთხი სამართალდამცველი.

ასტამურ შამბა სოხუმის სანაპიროზე მოკლეს

22 ნოემბერს ე.წ. კანონიერი ქურდი, გუდაუთელი ასტამურ შამბა, იგივე „ასტიკა“ რომელიც კიდევ ერთ გუდაუთელ „კანონიერ ქურდთან“ ალხას ავიძბასთან („ჰასიკი“) ერთად დაიჭრა სოხუმის სანაპიროზე, რესტორან „სან რემოსთან“ მომხდარი სროლის შედეგად, კლინიკაში გადაყვანიდან ცოტა ხანში გარდაიცვალა.

38 წლის ასტამურ შამბა და მისი თანატოლი ალხას ავიძბა სოხუმის სანაპიროზე მდებარე რესტორანში სადილობდნენ, როცა სამმა უცნობმა ნიღბიანმა პირმა ცეცხლი გახსნა.

კანონიერ ქურდებთან ერთად დაიჭრა ოფიციანტი გოგონა დომინიკა აკირტავა. ის მძიმე მდგომარეობაში საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მოგვიანებით სოხუმის ერთ-ერთ რაიონში იპოვეს დამწვარი მანქანა, რომლითაც თავდამსხმელებმა ინციდენტის ადგილი დატოვეს.

მომხდარ შემთხვევას კრიმინალურ სამყაროში სფეროების გადანაწილებას უკავშირებენ. შემთხვევის ადგილზე აფხაზეთის თვითგამოცხადებული შს მინისტრი გარი არშბაც იმყოფებოდა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ლევან კობერიძე: „2012 წელს ხელისუფლებაში რეჟიმი იყო, ახლა კი თაღლითების გუნდია“

„ნაციონალური მოძრაობის მიერ მართულ არც ერთ აქციას არ შევუერთდები“

იაგო ნაცვლიშვილი

ვინ არის პასუხისმგებელი ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ კრიზისში? შეუერთდება თუ არა ოპოზიციის მიერ ორშაბათს დაგეგმილ აქციას თუ პარლამენტში შესვლას შეეცდება? რატომ ფიქრობს, რომ ვადამდელი არჩევნები „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას აწყობს და რატომ მიიჩნევს, რომ ეს ორი პარტია შეთანხმებულად მოქმედებენ ერთად? – ამ და სხვა საინტერესო საკითხების შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი **ლევან კობერიძე** საუბრობს.

– ვხედავთ, რომ ქვეყანაში საკმაოდ მძიმე პროცესები ვითარდება. ვის აკისრებთ ამაზე პასუხისმგებლობას?

– პასუხისმგებლობა ეკისრება „ქართულ ოცნებას“, პირველ რიგში იმასთან დაკავშირებით, რომ არსებობდა დაპირება ყველა პოლიტიკური მონაწილის, საერთაშორისო პარტნიორისა თუ საზოგადოების წინაშე საჯაროდ გაცემული და არა მხოლოდ დაპირების თვალსაზრისით, არამედ დარწმუნების მხრივ, რომ ამ გზას ადგანან. ამ ყველაფრის ტყუილად გადაქცევის მხრივ პასუხისმგებლობა ეკისრება „ქართულ ოცნებას“.

ძალიან მნიშვნელოვანი და სამწუხაროც კი არის ის ფაქტი, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ნაციონალურ მოძრაობასაც კი მისცა მორალური უპირატესობა, რომ ხელისუფლებისთვის ასეთი პროტესტი გამოთქვას. ვსაუბრობ იმ ძალაზე, რომელიც ჩემთვის მიუღებელია, მაგრამ „ოცნებამ“ მთელი ეს პროცესი გადაიყვანა ჩიხში და რეალურად ჩვენ დღეს მივიღეთ ორპოლუსიანი სისტემა და ვხედავთ, რომ „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა გადასული არიან ერთმანეთის მიმართ ბრძოლაში.

– აქამდე არ იყო ორპოლუსიანი სისტემა? ახლა გადავიდა?

– არა, აქამდეც იყო, მაგრამ პროცესი შემოაბრუნა. იმიტომ, რომ პროცესი სხვაგვარად ვითარდებოდა. თვითონ თემა, რომ პროპორციულ სისტემაზე გადავიდოდა ქვეყანა, წარმოიშობოდა ახალი პოლიტიკური ძალების ფორმირების პროცესი, პოლიტიკური ველის ვექტორი აქეთკენ იყო მიმართული.

– ანუ, ახლა ორპოლუსიანობა შეგნებულად შემოიტანა „ქართულმა ოცნებამ“?

– სხვათა შორის, არც იმას გამოვრიცხავ, რომ ეს ყველაფერი შეგნებულადაც იყოს გაკეთებული იმისათვის, რომ ბოლომდე ჩაებღაუჭოს ხელისუფლებას „ქართული ოცნება“. ყოველ შემთხვევაში, მათგან ჩვენ არანაირი ლოგიკური ახსნა არ მოგვისმენია, თუ რატომ უნდა შემობრუნებულიყო ეს პროცესი უკან. პარტიის თავმჯდომარე აცხადებს, ძალიან ცუდია, რომ ეს არ მოხდა. იმავდროულად ძალიან შიდაპარტიული პროცედურებით დაუშვეს, რომ ყოფილიყო თავისუფალი კენჭისყრა, რაც თავისთავად უშვებდა ასეთი გადაწყვეტილების დადგომას. ამას კიდევ ემატება მაჟორიტარი კანდიდატების აბსოლუტურად არაადეკვატური განცხადებები, თითქოს დაინახეს ნაციონალური მოძრაობის მობრუნების საფრთხე და ამიტომ შეცვალეს ეს გადაწყვეტილება.

– არა მარტო მაჟორიტარების, წულუკიანისა და სხვებისგანაც მოვისმინეთ ორაზროვანი განცხადებები ამ თემაზე.

– სავარაუდოდ, გუნდშია ასეთი აზრი და ამაზე მიდის მსჯელობა. მე, რა თქმა უნდა, ყველაფერს გავაკეთებ ამისთვის და მგონია, რომ ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში არ დაბრუნდება, მაგრამ ცოტა გვერდიდანაც შევხედოთ პროცესს და ვთქვათ, რომ რა უფლება აქვს ნებისმიერ მმართველ პოლიტიკურ ძალას, თქვას, რომ არ დაუშვებს, მეორე პოლიტიკური ძალა არ დაბრუნდეს ხელისუფლებაში, თუ ეს საზოგადოების არჩევანია?! ამ ლოგიკით მათ პროპორციულ სისტემაზე გადასვლაზე უარი თქვეს და შეიძლება უარი თქვას სხვა პოლიტიკურ ძალაზეც, რომ ამას არ დავუშვებთ და იმას არ დავუშვებთ.

– ამბობთ, რომ ყველაფერს გააკეთებთ, რათა ნაციონალური მოძრაობა არ დაბრუნდეს ხელისუფლებაში. აქედან გამომდინარე ორშაბათის აქციაზე არ გახვალთ?

– ნაციონალური მოძრაობა და „ქართული ოცნება“ დღესაც ერთად მართავენ ქვეყანას და ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ 2020 წლის არჩევნებში ისევ ერთად გაიმარჯვონ ქართველ ხალხზე.

– კითხვაზე მიპასუხეთ – შეუერთდებით თუ არა ორშაბათის აქციას?

– არა. იმიტომ, რომ ჯერ ერთი, პარლამენტში ვარ და იქ ვახორციელებ ჩემს საქმიანობას. მით უმეტეს, ნაციონალური მოძრაობის მიერ მართულ არანაირ აქციას არ შევუერთდები. ეს ხაზგასმით მინდა ვთქვა.

რაც შეეხება სამოქალაქო აქტივიზმს, ნებისმიერ ფორმას მივესალმები იმ დონემდე, სანამ ის კანონის ფარგლებს არ სცდება. თუ სახალხო მღელვარება არ არის, როდესაც შეიძლება კანონსაც კი გასცდეს. რასაც ახლა ვხედავთ ახალგაზრდების მხრიდან, ეს ჩემთვის აბსოლუტურად მისაღებია. „ქართული ოცნება“ ასეთი ტიპის მოპყრობას იმსახურებს, თუმცა მე, მაგალითად, მივიჩნევ, რომ პარლამენტს მუშაობის საშუალება უნდა ჰქონდეს. შესასვლელების ჩაკეტვა და პიკეტი შეიძლება, მაგრამ დეპუტატებს პარლამენტში შესვლის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ. შეიძლება ორი შესასვლელის პიკეტირება მოახდინონ, მაგრამ დარჩეს მესამე შესასვლელი, საიდანაც დეპუტატები შევლენ.

– მცდელობა გექნებათ, რომ პარლამენტში შეხვიდეთ?

– მცდელობა არ მექნება, პარლამენტში აუცილებლად მოვხვდები, თუ ეს არ იქნება საერთო სახალხო პროტესტის ფორმა. მაგ შემთხვევაში შეიძლება პოლიტიკოსიც იყოს. მე მივალ პარლამენტში და ვიმუშავებ. მოვუწოდებ ნაციონალურ მოძრაობასაც და ევროპულ საქართველოსაც, რომ ჯერ ჩვენ დაგველაპარაკონ, ჩვენთან ერთად ისაუბრონ ამ თემებზე და ნუ მისცემენ ამას... ერთადერთი ეს აწყობს არაჯანსაღ ძალებს და „ქართულ ოცნებას“. „ქართულ ოცნებას“ თუ უგორებენ კოჭებს და ამ ფორმით უნდათ ათამაშონ, მაშინ მათ წინააღმდეგ კიდევ ერთხელ გავიბრძოლებ. ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ ვიბრძოდი და არც ახლა იქნება ეს რთული.

– ხედავთ თუ არა მსგავსებას 2012 წლის ვითარებასა და დღევანდელ მდგომარეობას შორის? მაშინაც იჭერდნენ კოალიცია „ქართული ოცნების“ აქტივისტებსა და მხარდამჭერებს. დღესაც ბევრი ადამიანი დააკავეს. არის მსგავსება?

– თუ მაშინდელ და ახლანდელ სიმპტომებს შევადარებთ, მსგავსება არ არის. სურათი ასე ჩანს, რომ არის იმ მხრივ მსგავსება, რომ მაშინაც ბევრ ადამიანს აკავებდნენ და დღესაც. დღესაც უსამართლოდ აკავებენ, რითიც „ქართული ოცნება“ ისევ თავის საქმეს იფუჭებს.

მეორე მხრივ, ვერანაირად ვერ შევადარებ 2012 წლის სამართლიან საერთო სახალხო პროტესტს ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ და მისი რეჟიმის წინააღმდეგ დღევანდელ სიტუაციას. დღევანდელ სიტუაციაში რაც ხდება და რასაც „ოცნება“ დგამს, ის უნდა აისახოს თავის დროზე ჩატარებულ არჩევნებზე და არა ვადამდელ არჩევნებზე. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ვადამდელი არჩევნები აწყობს მხოლოდ და მხოლოდ „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას. ცდილობენ, რომ ამ თავისი კამათით ერთმანეთი დატოვონ სათამაშო მოედანზე და არ შემოუშვან სხვა მოთამაშეები.

ამას გარდა, ნაცმოძრაობა სპეკულირებს, რომ ეს არის საერთო სახალხო მღელვარება და მოაჩვენოს ხალხს, რომ რაც ხდებოდა 2012 წელს, ისეთივე პროტესტი ხდება ახლაც. არ არის ეს ასე და ამას საზოგადოება გრძნობს. გახსოვთ, რაც ხდებოდა 2012 წელს. სახეზე გვაქვს ნაციონალური მოძრაობისა და „ქართული ოცნების“ შეუთანხმებლად შეთანხმებული მოქმედებები.

– პროცესების განვითარება როგორ წარმოგიდგენიათ?

– მე ვფიქრობ, რომ „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის ერთობლივი ინტერესები არის, რომ საქმე მივიდეს ვადამდელ არჩევნებამდე, იმიტომ, რომ მათ აქვთ მეტი შანსი, ანუ იმ პარტიებს, რომლებსაც აქვთ დიდი ფინანსური რესურსი და აქვთ დიდი ინფრასტრუქტურა. ამასთან ხელისუფლებას ემატება ადმინისტრაციული რესურსი და ძალოვანი სტრუქტურების რესურსი. ეს არის ამ ორი ძალის ინტერესი.

– მივალთ ვადამდელ არჩევნებამდე?

– ახლა რაც ხდება, ეს ყველაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ ვადამდელი არჩევნებისკენ მიდის საქმე. მაგალითად, უმრავლესობა ისე დაიშალოს, რომ უბრალოდ აღარ იყოს და მთავრობას გადადგომა მოუწიოს, ლეგიტიმაციის საკითხი დადგეს და შესაბამისად საჭირო გახდება ვადამდელი არჩევნები. მეორე ვარიანტია, რომ ბიუჯეტის დამტკიცების დროს ასევე დადგეს მთავრობის ლეგიტიმაციის საკითხი, ენდობა თუ არა პარლამენტი მთავრობას და პროცედურები ასე წარიმართოს. მესამე ვარიანტია, რომ ამდენი აქციებისა და პიკეტირების ფორმატში რაიმე ცუდი მოხდეს მიტინგებზე და, შესაბამისად, ეს აწყობს ნაციონალურ მოძრაობას და შეიძლება აწყობდეს „ქართულ ოცნებასაც“ იქიდან გამომდინარე, რომ აღარაფერს აღარ აპატიებს ხალხი. რაც ხოდა 20 ივნისს, იმას მეორედ აღარ აპატიებს ხალხი, აღშფოთდება ამაზე და ამისთვის ისევ დგება სასურველი რეჟიმი და ეს არის ვადამდელი არჩევნები.

ვადამდელი არჩევნები აწყობს ამ ორ პარტიას. ნებისმიერი ინსინუაციები, რომ ხომ არ ჰგავს ეს 2012 წელს, არასწორია შინაარსობრივად. თორემ ემოციები რომ არსებობს, ეს გასაგებია. 2012 წელს მოსახლეობის მუხტი გაცილებით მასშტაბური იყო და აბსოლუტურად სხვა ლეგიტიმაცია ჰქონდა. საუბარი იყო იმაზე, რომ წლების განმავლობაში რეჟიმი მართავდა ქვეყანას და ადამიანებს სახლებში უვარდებოდა. ახლა კი გვაქვს მოცემულობა, რომ გვყავს თაღლითი მმართველი გუნდი, რომელიც მოსახლეობას, როცა უნდა, მაშინ ატყუებს. ბუნებრივია, რომ ამაზე მოსახლეობა გაბრაზებულია.

მაგრამ, უნდა გამოჩნდეს სხვა პოლიტიკური ძალები იმისათვის, რომ საზოგადოებამ არჩევანი გააკეთოს და არ უნდა იყოს მხოლოდ ნაცმოძრაობა და „ოცნება“. ამაზე კვლევებიც აჩვენებს და განწყობებიც. ამიტომ, ის მოცემულობა, რომ ნაცმოძრაობას უნდა ეს სიტუაცია გადაიყვანოს მასობრივ მღელვარებაში, ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული ქმედება იქნება, თუ ასე წარიმართა პროცესი.

ვაშაძე გამოდიოდა და აღმაშენებელი ჩვენი სტრატეგიაა, მაგრამ აღმაშენებელი იმაზე არ ფიქრობდა, რომ ქვეყანა ბოქლომებით დაეხურა. მან კი სტრატეგია ამ აქცია-პერფორმანსამდე დაიყვანა. ეს არის პროტესტის გამოხატვის ფორმა, მაგრამ ამის გადაზრდა პროვოკაციულ მოქმედებებში, არასწორია. მე „ოცნებას“ კი არ ვიცავ, მას თავისი გაჭირვება ეყოფა და თავისი მოეთხოვება, მაგრამ ეს ორი ძალა ასე კვებავს ერთმანეთს. „ოცნებამ“ ამ გადაწყვეტილებით ლეგიტიმაცია მისცა ნაცმოძრაობას, რომ კვლავ აღმდგარიყო, მაშინ როცა, რეალურად რთულ სიტუაციაში იყო. ამ ვითარებით სარგებლობს ნაცმოძრაობა, რომელიც ყველაზე აგრესიული ძალაა და მას ახასიათებს დესტრუქციული ქმედებები. იკრიბებიან პარტიები და მერე უკმაყოფილონი რჩებიან იმაზე, რომ ნაციონალური მოძრაობა შეთანხმებებს არღვევს და სხვაგან მიჰყავს საქმე.

ამიტომ უნდა გავყოთ პროცესი – ბოქლომების აქცია პროტესტის ფორმაა, მაგრამ პარლამენტის პიკეტირება და ის, რომ პარლამენტში არ შეუშვან კოლეგა დეპუტატები, ეს სხვა ტიპის ქმედებაა. თუ სახელმწიფო გადატრიალებისკენ მიჰყავთ საქმე, მაშინ გამოვიდნენ და პირდაპირ თქვან და,.შესაბამისად, ჩვენც გვეცოდინება და ნუ ეფარებიან გაერთიანებული ოპოზიციის შირმას. გამოვიდნენ და თქვან, რომ ჩვენ ვართ ნაციონალური მოძრაობა, ზუსტად ის, რაც ვიყავით და გვინდა სახელმწიფო გადატრიალება.

ბაჩუკი ქარდავა: „ოცნებას“ ახლა 5%-ზე მეტი რეიტინგი არ ექნება“

„მას მოუწევს პროპორციულ სისტემაზე დაბრუნება“

ნათია ხურცილავა

გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი **ბაჩუკი ქარდავა** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ბაჩუკი, როგორ შეიძლება, ეს პოლიტიკური პროცესები დასრულდეს? ხელისუფლება არ აპირებს არანაირ დათმობაზე წასვლას.

– ეს მხოლოდ დროის საკითხია. მე, ბუნებრივია, ახლავე ვისურვებდი ხელისუფლების გადადგომის ფონზე პროპორციული, ვადამდელი არჩევნების დანიშვნას, მაგრამ შეიძლება, ეს დღეს და ხვალ ვერ მოხდეს, მაგრამ, გეუბნებით, ამ გზას ალტერნატივა არ აქვს. ეს აუცილებლად მოხდება.

ის პროცესები, რომლებიც დღეს თბილისის ქუჩებში და საერთოდ საქართველოს მასშტაბით ხდება, ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ხელისუფლებას სხვა გზა არ დარჩა. მან ძალაუფლება უნდა დაუბრუნოს ქართველ ხალხს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლება ლეგიტიმურობის ჩარჩოდან არის გასული. ხელისუფლება, რომელიც მხოლოდ ძალას ეყრდნობა, ფაქტობრივად, არ არის ხალხის ხელისუფლება და ხალხის ნებას არ წარმოადგენს.

– ასე არ ფიქრობს ხელისუფლება.

– რომ არ ფიქრობს, ამიტომაც არის დრო საჭირო. ის აუცილებლად მივა ამ დასკვნამდე. დამერწმუნეთ, სხვა ალტერნატივა და არჩევანი ბიძინა ივანიშვილს არ აქვს. ეს ხელისუფლება გასტუმრებულია.

პრორუსული ხელისუფლება საქართველოში ხელისუფლებას ვერასდროს შეინარჩუნებს. 21-ე საუკუნეა, ადამიანებს უკან კი არ უნდათ წასვლა, წინ უნდათ, ეს ხელისუფლება კი უკან გვექაჩება. არ გამოუვა.

საქართველოში ორ ვადაზე მეტ ხანს არც ერთი ხელისუფლება არ დარჩენილა. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ამას ცდილობს „ოცნების“ ხელისუფლება ხალხის არჩევანის გარეშე, ისე, რომ ხალხს სამართლიანი არჩევნები წაართვას. ამაშია მთელი პრობლემა.

ბიძინა ივანიშვილი ფიქრობს, რომ მას საქართველოში ყველაფერი გაუვა. გაუვა პარლამენტის გაუქმება, გაუვა ის, რომ ქართველ ხალხს მოუწყობს გავრილოვის ღამეს, გაუვა ის, რომ ჰყავს პოლიტპატიმრები, გაუვა ახალგაზრდების დაჭერა და ციხეში გაშვება. ეს არავის გასვლია საბჭოთა კავშირის შემდეგ საქართველოში და არც მას გაუვა.

– ექსპერტები ამბობენ, რომ ვადამდელი არჩევნები ხელისუფლებას უფრო აწყობს, ვიდრე ოპოზიციას. თქვენ ასე არ ფიქრობთ?

– წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან. როგორ აწყობს გაკოტრებულ „ქართულ ოცნებას“ ვადამდელი არჩევნები, მით უფრო ამ ფონზე, არ მესმის! სოციოლოგიური კვლევები, ხალხის განწყობა იმაზე მეტყველებს, რომ „ქართული ოცნება“ გაბანკროტებულია.

– ჯამში, მეტი პროცენტული მაჩვენებელი აქვს ოპოზიციას, ვიდრე „ოცნებას“, თუმცა...

– დიახ და სწორედ „ქართული ოცნების“ კატასტროფული რეიტინგი ნახა ბიძინა ივანიშვილმა და ამიტომ დაიხია უკან. ნახეთ ბიძინა ივანიშვილის პიროვნული რეიტინგი. ის ხალხს აშკარად სძულს.

ამ გადაგდების შემდეგ, რაც უკან წაიღო პროპორციულ სისტემაზე გადასვლის დაპირება, ახალი კვლევები რომ ჩატარდეს, დარწმუნებული ვარ, „ოცნებას“ 23% კი არა, 5% არ ექნება. ხელისუფლება პოლიციელებისა და რობოკოპების ამარა დარჩა. თუმცა, საქმე საქმეზე რომ მიდგება და ის კიდევ ერთხელ შეეცდება ქართველი ხალხის დათვლას, ეს პოლიცია მას არ გაჰყვება.

– ბრიუსელში იყვნენ გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენლები. რა ინფორმაცია ჩამოიტანეს?

– ერთი ჯგუფი უკვე დაბრუნდა, თუმცა ევროპის სხვადასხვა უწყებებთან შესახვედრად რამდენიმე დელეგაციაა წასული.

– ვინ არიან?

– ერთ-ერთი გრიგოლ ვაშაძეა და სხვა წარმომადგენლები. ევროპა ძალიან პრინციპულია. ძალიან უარყოფითად არის შეფასებული ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება, ხალხის გადაგდება.

ევროსაბჭო და ევროკავშირი, ჩემი ინფორმაციით, ძალიან აქტიური გახდება სწორედ ამ პროცესთან დაკავშირებით. ისინი ხელისუფლებას მოუწოდებენ, დაუბრუნდნენ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის დაპირებას და ეს დაპირება შეასრულონ.

– რამდენად წავა ამაზე ხელისუფლება?

– მოუწევს. მას ეუბნებიან, არა მხოლოდ პროპორციულთან დაკავშირებით შეასრულოს დანაპირები, არამედ, ხელისუფლების მშვიდობიან ცვლილებაზეც. ეს ხელისუფლება დასრულებულია. მას მხარდაჭერა არ აქვს არც გარეთ და არც შიგნით.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ: 598-43-98-57

ანზორ აბრალავა: „ჩავატაროთ რეფერენდუმი და ხალხმა აირჩიოს, როგორი საარჩევნო სისტემა ურჩევნია“

მარიამ მჭედლიშვილი

საზოგადოება ოპოზიციურ პარტიებთან ერთად აგრძელებს სხვადასხვა სახის საპროტესტო აქციას. მმართველი პარტია, რომელიც ცოტა ხნის წინ ყველას ჰპირდებოდა, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები პროპორციული წესით გაიმართებოდა, თავისი დანაპირების შესრულებას ისევ არ აპირებს. ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ხალხისთვის მისაღებია მაჟორიტარული სისტემა. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატ, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორ ანზორ აბრალავას.

ანზორ აბრალავა:

– ქვეყანაში ქაოსური ვითარებაა. ასეთი დაძაბულობა და აგრესიული ფონი არ წაადგება ქვეყნის განვითარებას. გასაგებია იმ მოქალაქეების აღშფოთება, რომლებსაც ეგონათ, რომ ხელისუფლებამ საზოგადოებას დაუთმო და 2020 წლის არჩევნების მთლიანად პროპორციული წესით გამართვას დათანხმდა. აღმოჩნდა, რომ დათმობა არ ყოფილა. რაც შეეხება გაერთიანებულ ოპოზიციას, პოლიტიკოსებს თავისი პრაგმატული მიზნები აქვთ.

– რა მიზნები?

– ნაციონალური მოძრაობის მიზნები ისევ უკავშირდება რევანშს და ხელისუფლების შეცვლის ნებისმიერ ხერხს.

– ნაციონალური მოძრაობა ოპოზიციური ერთობის ერთი მონაწილეა. ამ ერთობაში ბევრი სხვაც შევიდა.

– დიახ. ამ პარტიებისა და ჯგუფების სიმრავლე პერსპექტივას არ ნიშნავს. ეს დროებითი ეკლექტური გაერთიანებაა.

– ეს ერთობა შეიქმნა და აქციებზე საზოგადოებასთან ერთად გამოვიდა მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ ყველას გადმოუგდო ხელთათმანი.

– გეთანხმებით, რომ ხელისუფლებამ ამ ქაოსს ხელი შეუწყო. წინადადება პროპორციული არჩევნების შესახებ თვითონ „ქართულმა ოცნებამ“ წამოაყენა. კარგი იქნებოდა, რომ ის დაგვირგვინებულიყო. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

სიტუაციას ამწვავებს ის, რომ ბევრი ოპოზიციონერისთვის საარჩევნო სისტემა მხოლოდ საბაბია. ისინი იმდენად პროპორციული სისტემის დამცველები კი არ არიან, არამედ, შექმნილ რთულ მდგომარეობას იყენებენ. შედეგად, ვხედავთ დაპირისპირებას ახლანდელ და ყოფილ ხელისუფლებას შორის.

– ხელისუფლებას მეტი არ მოეთხოვება?

– ხელისუფლება უნდა გამოვიდეს და გააკეთოს მკაფიო განმარტებები. უნდა ახსნას, რა რატომ ხდება და როგორ საარჩევნო სისტემას ენიჭება უპირატესობა.

– ხელისუფლებას უფრო მეტი დაბნეულობა შემოაქვს იმით, რომ ამ ფონზე ხან მხოლოდ მაჟორიტარულ სისტემას იწონებენ, ხან – შერეულს. კონსტიტუციაში ამ უმრავლესობამ ადრევე ჩაწერა, რომ 2024 წლის არჩევნები პროპორციული სისტემით ტარდება.

– არც მმართველ პარტიას და არც სხვებს კონცეპტუალურად და პროგრამულად არა აქვთ ჩამოყალიბებული ქვეყნის განვითარების მიმართულებები, მათ შორის, საარჩევნო სისტემა. იმის მაგივრად, რომ ფართო საზოგადოება და პოლიტიკური სპექტრი უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე ვმსჯელობდეთ, პოლიტიკოსებისა და ექსპერტების ერთი ვიწრო ჯგუფი ამწვავებს სხვა საკითხებს. გვეუბნებიან, რომ პოლიტიკოსებში ორი მიმართულებაა – პრორუსული და პროდასავლური. ეს ჯგუფები ერთმანეთის ლანძღვა-გინებაში ატარებენ დროს.

– ამ მხრივაც შეცვლილია სიტუაცია და ჯგუფები, ვისაც პირობითად პრორუსულსა და პროდასავლურ უწოდებენ, აქციებზე ერთად გამოდიან.

– ეს ერთობა მყარი არ არის. არ მესმის, რატომ უწოდებენ ნაციონალურ მოძრაობას თუნდაც, პირობითად, პროდასავლურ პარტიას. რომელი დასავლური საქმე გაუკეთებია სააკაშვილსა და ამ პარტიას?! ნაციონალების მედასავლეთეობა მოგონილია. ეს არის შირმა იმისათვის, რომ გარე ლობისტებისაგან მეტი მხარდაჭერა მიიღონ.

იმათ, ვისაც ჩვენთან პროდასავლელს უწოდებენ, არც დასავლური იდეალები იციან და არც ცივილიზაციური იდეალები. ეს ხალხი დაჟინებით მოითხოვს ეკონომიკის სრულ ლიბერალიზაციას და ველურ კაპიტალიზმს. ეს არ არის დასავლური ფასეულობა და არც წარმატებული ეკონომიკის წინაპირობა. სამხრეთ კორეის ისტორიას თუ გაეცნობიან, გაიგებენ, რომ მოწინავე ეკონომიკამდე სამხრეთ კორეაში, როცა ხელისუფლებაში სამხედროები იყვნენ, მოქმედებდა მკაცრი სახელმწიფო რეგულაციები.

ან საპარლამენტო მმართველობა რატომ ითვლება მედასავლეთეობად? აშშ-ში საპრეზიდენტო მმართველობაა, საფრანგეთში ძალაუფლება გადანაწილებულია პრეზიდენტსა და პრემიერს შორის. პრეზიდენტს საგარეო საკითხები ეხება, პრემიერს – საშინაო.

– გინდათ თქვათ, რომ საქართველოში საპარლამენტო მოდელი არ გაამართლებს?

– ჩვენთან ინსტიტუტები მყიფეა. თანამდებობის პირები სწრაფ გადაწყვეტილებებს ახლაც ვერ იღებენ. არადა, დროულ გადაწყვეტილებებს დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ სიტუაციაში ქვეყანა სუსტდება. საპარლამენტო მოდელი კარგს არაფერს გვიქადის. სუსტი საქართველო აწყობს რუსეთს და სხვა არაკეთილმოსურნე მეზობლებს.

ინგლისში საპარლამენტო მმართველობა იყო, მაგრამ ოლივერ კრომველმა მაინც დაამყარა დიქტატურა. სტალინმა იგივე საბჭოთა წყობაში მოახერხა. არ მესმის, რატომ უნდა გამოირიცხოს საქართველოში საპრეზიდენტო მმართველობის შემოღების შესაძლებლობა. თუ რომელიმე პრეზიდენტი ძალიან ცუდი იყო, ამის გამო მმართველობის საპრეზიდენტო მოდელი რატომ უნდა მოვიძულოთ? რასაკვირველია, ამას დასჭირდება საკანონმდებლო ცვლილებები.

– ახლანდელ საკითხს რომ დავუბრუნდეთ, რას ელით? შერეული სისტემით გაიმართება უახლოესი საპარლამენტო არჩევნები?

– ხელისუფლება რას აპირებს, არ ვიცი. მე გამოსავალს რეფერენდუმში ვხედავ. ჩავატაროთ რეფერენდუმი და ხალხმა აირჩიოს, როგორი საარჩევნო სისტემა ურჩევნია. თუ ხელისუფლების წყარო ხალხია, ვკითხოთ ხალხს და ამის მიხედვით მივიღოთ გადაწყვეტილება.

– მანამდე ამ საკითხების განხილვა უნდა მოხდეს?

– აუცილებელია სჯა-ბაასი ამ თემაზეც და სხვა კონცეპტუალურ საკითხებზეც. ჩვენს გარემოში ეს შეუძლებელია.

– რატომ?

– თუ რამეს განიხილავენ, მათ შორის, ტელევიზიებში, ამ პროცესში მონაწილეობს ექსპერტთა და პოლიტიკოსთა ერთი მცირე ჯგუფი. დანარჩენების მიმართ არსებობს „ზედმეტი ადამიანების“ პრინციპი.

ათენისა და რომის დემოკრატიები ათენელებისა და რომაელებისთვის მოქმედებდა. სხვებს ბარბაროსებად მიიჩნევდნენ. ამ ბარბაროსებივით ვართ ის საზოგადოება, რომელსაც ყველგან ყველა კარს გვიხშობენ. ეს არის მცირე ჯგუფის დიქტატურა, რომელიც ანადგურებს დემოკრატიის საწყისებს.

ზვიად გამსახურდიამ, სანამ მაშინდელი ხელისუფლება დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა, ჩაატარა რეფერენდუმი დამოუკიდებლობის საკითხზე. მასში მონაწილეობა მიიღო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობამაც. მას შემდეგ ტერიტორიები დავკარგეთ, ხალხი გაღატაკდა და უცხოეთში გადაიხვეწა.

ეს ერთი პარტიის და ერთი ხელისუფლების ბრალი არაა. დარჩენილ მოსახლეობას მუდმივ ქაოსში ვამყოფებთ და არც რეფერენდუმები გვინდა და არც – მმართველობის ნორმალური სისტემა.

პეტრე მამრაძე: „არ ვამართლებ ხელისუფლების მორიგ პოლიტიკურ იდიოტიზმს“

გულიკო ბალაძე

ვინ როგორ იყენებს შექმნილ ვითარებას? როგორ აფასებს „ოცნების“ მმართველობას? რას წარმოადგენს ოპოზიცია? „ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი **პეტრე მამრაძე** პასუხობს.

– როგორ აფასებთ ხელისუფლების მოქმედებას და შექმნილ ვითარებას?

– მმართველი დაჯგუფება „ოცნება“ არანაირი პოლიტიკური პარტია არ არის. საერთოდ, საქართველოში პოლიტიკური პარტიის შექმნის კონტურებიც კი არ ჩანს. ამის ობიექტური პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური პირობები არ არსებობს.

თუმცა, „ოცნება“ მმართველი დაჯგუფება ნამდვილად არის, რომელიც უშვებს უხეშ შეცდომებს. მისი მართვა სრულიად არაეფექტიანია როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური მიმართულებით და, ბუნებრივია, მოსახლეობის უკმაყოფილება ხელისუფლების მიმართ იზრდება.

ადამიანების დიდი ნაწილი თავს მოტყუებულად გრძნობს. ამბობენ, რომ „ოცნებამ და პირადად ივანიშვილმა არ შეასრულა ის დაპირებები, რომელიც გასცა 2012 წელს. ასევე უხვად გასცეს დაპირებები შარშან, საპრეზიდენტო არჩევნებშიც.

– არის თუ არა ეს იმის ტოლფასი ქმედება, რის გამოც ხელისუფლება ოპოზიციამ ძალადობრივად ჩამოაშოროს ქვეყნის მართვას, ან განახორციელოს გარკვეული ძალადობრივი ქმედებები?

– რა თქმა უნდა, არა. უფრო მეტიც, ჩვენთან სრულიად უმართებულოდ დამკვიდრდა სიტყვა ოპოზიცია. ის ადამიანები, ვისაც ვხედავთ მიტინგებზე, ეკრანებზე თუ მიკროფონით ხელში, არანაირად არ არიან ოპოზიციონერები.

– აბა, ვინ არიან?

– ოპოზიციონერები არ არიან. 1995 წელს, როდესაც საქართველოში ჩამოვიდა მადლენ ოლბრაიტი, მაშინდელ ე.წ. ოპოზიციას შეხვდა და შემდეგ გაოგნებულმა თქვა, რომ ოპოზიცია ეწოდება პოლიტიკოსებს, რომლებიც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების ერთგული არიან და ზოგიერთ პოლიტიკურ საკითხებზე განსხვავებული შეხედულება აქვთ. ადამიანებს, ვინც მტრობს სახელმწიფოს, მათ ოპოზიცია არ ჰქვიათ, სულ სხვა რამ ჰქვიათ. სხვა რამ არის ხალხის მტრები.

– ამ შემთხვევაში პარლამენტში ჩავარდა პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის პროექტი, ამან გამოიწვია პროტესტი და ოპოზიციური ძალების გაერთიანება. ამ შემთხვევაში მადლენ ოლბრაიტის შეფასება როგორ მიესადაგება?

– 100%-ით მიესადაგება, ვინაიდან ეს ადამიანები არიან თავისი ვიწრო, პირადი, მატერიალური ინტერესებისა და ამბიციების ერთგულები. როგორი ზიანიც უნდა ადგებოდეს ხალხს, ერს, ქვეყანას, სახელმწიფოს, მათთვის მთავარია პირადი ინტერესები. ამიტომ ყველა საბაბს და მიზეზს იყენებენ. მათ შორის, ხელისუფლების შეცდომებს არა იმისათვის, რომ შეცდომა გამოსწორდეს და ქვეყნისთვის სწორი გადაწყვეტილება იქნას მიღებული, არამედ ქვეყანაში დესტაბილიზაციის გამოწვევისა და ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად.

არავითარ შემთხვევაში არ ვამართლებ ხელისუფლების მორიგ პოლიტიკურ იდიოტიზმს. გავრილოვის კრიზისის შემდეგ გითხარით, თუ ხელისუფლება არ დაუშვებს მორიგ პოლიტიკურ იდიოტიზმს, სტაბილურობა იქნება და ასე მივალთ 2020 წლის არჩევნებამდე-მეთქი.

ახლაც იგივეს ვამბობ, თუ ხელისუფლება კიდევ არ დაუშვებს იდიოტიზმს, პრობლემა არ იქნება, მაგრამ ვაი, რომ არ არის გარანტია დღეს, ხვალ და მომავალში კიდევ არ დაუშვებს იდიოტიზმს. ხელისუფლება მზად არის, თავისი ხელით დაუშვას მორიგი პოლიტიკური იდიოტიზმი და მიზეზი მისცეს იმ ადამიანებს, ვისაც ოპოზიციას უწოდებენ, სინამდვილეში კი მხოლოდ საკუთარი ინტერესების ერთგულები არიან ქვეყნის ინტერესების საზიანოდ. არავითარი გაერთიანება არ მომხდარა.

– სხვადასხვა დაჯგუფებები ერთად დასხდნენ, ამ საკითხში ერთიანი ვართო.

– ეს არის ტყუილი. ერთიანი არიან მხოლოდ იმ საკითხში, შექმნილ სიტუაციაში ეგებ რაღაცას ხელი გამოვკრათ და მატერიალური თუ სხვა სიკეთეები მივიღოთ, ეგებ პარლამენტში შევიდეთ და იქიდან ჩვენს ბიზნესებს მივხედოთო, რაც ამ ადამიანებმა მრავალი წლის განმავლობაში დაამტკიცეს. ეს ყველას ეხება, ვინც რუსთაველზე ხელიხელჩაკიდებულები გამოვიდნენ.

მათგან არავინაა ისეთი, ვისაც შეუძლია ფიქრი ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებზე. იქ, სადაც არ არის თავგანწირვა ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ. ასე შეუძლებელია ერის არსებობა. ნათქვამია, როცა ერი ერობს, მტერი ვერ მტრობს.

– ოპოზიცია ამბობს, რომ მათ გამოცდილება აქვთ და უკეთ შეუძლიათ მართვა. მართლაც, იგივე ნინო ბურჯანაძე ორჯერ იყო პარლამენტის თავმჯდომარე, ორჯერ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, თუმცა, არაფერი უთქვამს საარჩევნო სისტემის შეცვლაზე. ახლა კი კატეგორიულია.

– ამას მიუმატეთ თუნდაც ცნობილი სატელეფონო საუბარი, სადაც ქალბატონი ნინო თავის ვაჟიშვილს, უმცროს ანზორს ელაპარაკება. ანზორიკო დედას არიგებს, ახლა სააკაშვილი რუსთაველზე ხალხს (რომელიც თვითონ გამოიყვანეს) დაარბევს თუ არა, რუსეთის გერეუ მაშინვე შემოვა და სააკაშვილის რეჟიმი დაემხობაო.

ანუ, თუნდაც რუსეთის გერეუს შემოყვანის ხარჯზე, მზად არიან ხელისუფლებაში მოვიდნენ. ცნობილია, როგორ დატოვა ბურჯანაძემ თავისი ჯიპებით 26 მაისს რუსთაველი, როგორ მიაგდო ხალხის მასა რუსთაველზე. მისი გასვლისას კი ერთი ადამინი დაიღუპა. ხაზს ვუსვამ, დღევანდელი ოპოზიციისაგან ბურჯანაძეს არც კი გამოვყოფდი, რადგან ვინც კი იდგნენ რუსთაველზე ხელიხელჩაკიდებულები, აბსოლუტურად ერთნაირები არიან ამ ასპექტში.

– სხვათა შორის, „ოცნება“ პირველად მაშინ აითვალწუნა ზოგიერთმა, როდესაც შუალედურ არჩევნებში თავდაცვის მინისტრი ხიდაშელი საგარეჯოში იჯდა და, როგორც ამბობენ, არჩევნებს აყალბებდა. ახლაც თქვა ეს პატრიოტთა ალიანსის ლიდერმა. ასეთ ძალებს მორალური უპირატესობა რამეში აქვთ?

– არც ერთ მათგანს მორალური უფლება არ აქვს, მათ აქვთ საკუთარი ინტერესები, ზოგს მინისტრად ყოფნა უნდა. ხიდაშელი თავდაცვის მინისტრი რომ იყო, ჩვენი უცხოელი პარტნიორები გაოგნებული იყვნენ. მეკითხებოდნენ, როგორ შეიძლება ასეთი ქალი მინისტრად, როდესაც ასეთი შეუთავსებლობაა ამ პიროვნებასა და მინისტრის პოსტს შორისო.

– „ოცნებამ“ თავისი შეცდომით მორალური უპირატესობა ხომ არ მისცა ნაცებს და ევრონაცებს, ხომ არ მოხდა მათი რეაბილიტაცია?

– ნამდვილად არ მომხდარა ნაცებისა და ევრონაცების რეაბილიტაცია, მიუხედავად ხელისუფლების იდიოტიზმისა. შეადარეთ, 2012 წელს, როდესაც ციხის კადრები გამოქვეყნდა და რადიკალურად შეიცვალა ხალხის განწყობა, 100 ათასობით ადამიანი გამოვიდა ქუჩაში. ციხის კადრების შემდეგ სიტუაცია რომ აყირავდა, უკვე ადამიანები ნებისმიერს მიესალმებოდნენ, ოღონდ ივანიშვილის გვერდით დამდგარიყო, თუნდაც მანამდე მორალურად სახელგატეხილი ყოფილიყო. რადგან ივანიშვილი იმ სადისტური რეჟიმის მოშორების გარანტი გახდა, ამ ხალხის გვერდში დადგომას პატიობდა. ამიტომ ხალხი ტაშს უკრავდა, ყველაფერს გპატიობთ, ოღონდ ეს გააკეთეთო.

– მგონი უგულავამ განაცხადა, ბიძინა ივანიშვილს კადაფისა და ჩაუშესკუს ბედი ელოდებაო და ქვიშები დაყარეს. საუბარია საქართველოს საომარი მდგომარეობის ზღვარზე ყოფნაზე. თქვენ დესტაბილიზაციაზე საუბრისას, ფიქრობთ, რომ აქეთ უნდათ წიყვანონ ვითარება?

– ნამდვილად უნდათ, მაგრამ როდესაც შედარებითი ანალიზით, თუ 2012 წელს ხალხის მასები ითხოვდა გაერთიანებას მიხეილ სააკაშვილისა და ნაცების წინააღმდეგ, ახლა ბოკერიები, უგულავები, უმფროს-უმცროსი ვაშაძეები და სხვები, ოპოზიციის სახელით ვინც ერთად შეიკრიბნენ, იმდენად სახელგატეხილები არიან, „ოცნებისთვის“ საუკეთესო ფარს წარმოადგენენ.

როგორც კი მათ ხალხი დაინახავს, ისინიც კი, ვინც „ოცნებისაგან“ გაწბილებულია, ამბობს, რომ ოპოზიცია უფრო უარესი ძალაა. როდესაც ნაცები ტრიბუნასთან შეგროვდებიან და იმღერებენ, „მიშა მაგარია“, ამით ბევრ ადამიანს გააქცევენ. ანუ „ოცნება“ ცუდია, არაეფექტურია, ქვეყანაში ბევრი მიმართულებით სრული სტაგნაციაა, მაგრამ ნაცები და ვინც მათ ვითომ უერთდება, ბევრად უარესია.

– როგორ შეიძლება განიმუხტოს სიტუაცია? ნაცები რაიონებსა და ცენტრში სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებზე ბოქლომებს ადებენ, პროტესტს გამოთქვამენ.

– თვითონ ზრუნავენ განმუხტვაზე. რადგან ბოქლომების ჩამოკიდება ძალიან ცუდი სიმბოლოა. წულუკიანმა სწორად თქვა, დაიწყეს ვარდებით, დაამთავრეს ბოქლომებით. ბოქლომი არის ჩიხის სიმბოლო, ადამიანებისთვის თავისუფლების აღკვეთის სიმბოლო. სულაც არ არის შემთხვევითი, რომ ნაცები ახლა ბოქლომებს იყენებენ. ეს არის ძალადობა. მშვიდობიანი პიკეტირება არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ უფლება გაქვს მოქალაქეს, პარლამენტის წევრს, საჯარო მოსამსახურეს შეუზღუდო გადაადგილება.

– ამბობენ, ბიძინა ივანიშვილმა გადაგვაგდოო. ბიძინა ივანიშვილი მაჟორიტარებმა გადააგდეს თუ ვერ დაითანხმა პროპორციულ სისტემაზე?

– ცოტა სხვანაირად არის საქმე. ივანიშვილმა იმიტომ განაცხადა, პროპორციულ სისტემაზე გადავალთო, „პოლიტიკაში“ თავის მორიგ გურუებს დაუჯერა. ამის შემდეგ მაჟორიტარებმა ხმა ამოიღეს. ჯერ კიდევ უსუფაშვილმა განაცხადა, როგორც კი გადავალთ პროპორციულ სისტემაზე, უმრავლესობა მაშინვე დაგვეშლება, ქვეყანას ეს ძალიან ძვირად დაუჯდება. მაჟორიტარების დიდ ნაწილს პროპორციული სისტემა ცოცხალი თავით არ უნდაო. ამიტომ დაიწყეს პარტიის შიგნით მუშაობა და ივანიშვილის დარწმუნება, რომ ქვეყანა დაიღუპებაო.

– ანუ მაჟორიტარებმა გადააგდეს ბიძინა ივანიშვილი?

– კი არ გადააგდეს, გარკვეულ მომენტში შეძლეს მისი შემართების შესუსტება და ვის როგორ უნდოდა, ისე მისცეს ხმა. კატეგორიულად გამორიცხეთ ის, რომ ივნისში ივანიშვილმა თავიდანვე ჩაიფიქრა, ოპოზიციას ამით დავაშოშმინებ, მიტინგს ამით დავშლი და მერე მოვატყუებო. ეს არ ყოფილა. იყო სხვა, უფრო რთული პროცესი. სჯობდა, ჯერ გამოეკვლია, რა აზრი იყო გუნდში და მერე ეთქვა.

– ამბობენ, მაჟორიტარები იმუქრებოდნენ უმრავლესობის დატოვებით, რაც უმრავლესობის დაშლას და სახელისუფლებო კრიზისს გამოიწვევდა.

– ივანიშვილი პოლიტიკოსი რომ იყოს, გამოვიდოდა და ძალიან გასაგებად ახსნიდა, მე ვარ პროპორციული სისტემის მომხრე, მაგრამ ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში საკითხი მწვავედ დადგა, რომ ამ ადამიანებს ურჩევნიათ უმრავლესობიდან გავიდნენ, ოღონდ პროპორციულ სისტემას ხმა არ მისცენ. მქონდა იმედი, მაგრამ არ გამოვიდა. უმრავლესობას იმიტომ არ ვშლი, ვის ვუტოვებთ ქვეყანას, ნაცებს? ამიტომ ასეთ კომპრომისზე მომიწია წასვლა, მაგრამ ივანიშვილს ამის ახსნის თავი არ აქვს.

„ოქრუაშვილის წინააღმდეგ ჩვენება გურამ დონაძემ და ზურაბ მიქაძემ მისცეს“

სანაცვლოდ მათ ციხიდან გამოუშვებენ

შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს, ბრალდებულ ირაკლი ოქრუაშვილს, ბუტა რობაქიძის საქმეზე, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლე არსენ კალატოზიშვილმა 22 ნოემბერს გამოაცხადა.

ირაკლი ოქრუაშვილისთვის სახელმწიფო ბრალდება აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებას ითხოვდა. დაცვის მხარე აღნიშნულ შუამდგომლობას არ დაეთანხმა და განაცხადა, რომ ოქრუაშვილის მიმართ აღკვეთის არც ერთი ღონისძიება არ უნდა იყოს გამოყენებული.

ზურაბ ადეიშვილის ადვოკატის, სულხან კომახიძის განცხადებით, ადეიშვილის მიმართ დევნის დაწყების სტანდარტი არ არსებობს და არც წინასასამართლო სხდომის თარიღი უნდა დანიშნულიყო.

აღნიშნულ საქმეზე წინა სასამართლო სხდომა 9 იანვარს, 12:00 საათზე გაიმართება.

ირაკლი ოქრუაშვილსა და ზურაბ ადეიშვილს ახალი ბრალი რამდენიმე დღის წინ წაუყენეს. ორივე მათგანს ბუტა რობაქიძის საქმეზე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას ედავებიან, რაც სასჯელის სახედ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამიდან რვა წლამდე ვადით.

ირაკლი ოქრუაშვილის პარტიის წევრის, გურამ ჩალაგაშვილის ინფორმაციით, ოქრუაშვილის წინააღმდეგ ჩვენებები შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ყოფილმა უფროსმა გურამ დონაძემ და საპატრულო პოლიციის ყოფილმა უფროსმა ზურაბ მიქაძემ მისცეს.

როგორც ჩალაგაშვილი აცხადებს, აღნიშნულის შესახებ მან ოქრუაშვილის ადვოკატისგან გაიგო, რომელსაც საქმის მასალები გადაეცა.

– როგორც გავარკვიე, გურამ დონაძემ და ზურაბ მიქაძემ ორი დღის წინ ჩვენება მისცეს. სანაცვლოდ, ისინი საპროცესო შეთანხმებას მიიღებენ და თავისუფლებაზე გამოვლენ. ასეთ თავისუფლებას რა აზრი აქვს, არ ვიცი. ჩვენების შინაარსი ასეთია – გამიშვით სახლში და მოვაწერ ხელს, თუკი, დამავალებთ რამეს, – განაცხადა ჩალაგაშვილმა.

კომენტარი გააკეთა ირაკლი ოქრუაშვილის საქმის პროკურორმა ლაშა კოტრიკაძემ.

– თუ ირაკლი ოქრუაშვილს ბუტა რობაქიძის საქმეზე 24 ნოემბრამდე ბრალს ვერ წავუყენებდით, შემდეგ ვერასდროს წავუყენებდით, – თქვა მან.

როგორც კოტრიკაძე აცხადებს, ხანდაზმულობის ვადა ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ სისხლის სამართლებრივ დევნას ეწურებოდა და არა საქმის განხილვას.

– გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს, ამ საქმეზე სასამართლო განხილვა ვერ გაგრძელდება. ეს სწორი არ არის. აქ საუბარია მხოლოდ და მხოლოდ სისხლის სამართლებრივი დევნის ხანდაზმულობაზე და არა საქმის განხილვის ხანდაზმულობაზე.

თუ ირაკლი ოქრუაშვილს 24 ნოემბრამდე ვერ წავუყენებდით ბრალს, შემდეგ ვერასდროს წავუყენებდით. შესაბამისად, დევნა დაწყებულია და სასამართლოს განხილვას ხელს არაფერი უშლის.

ოქრუაშვილს ბრალი გავაცანით, ხელს მოაწერს თუ არა, ეს მისი უფლებაა, – განაცხადა კოტრიკაძემ.

ლაშა კოტრიკაძე ადასტურებს, რომ ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმეზე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე მსჯავრდებულმა ორმა პირმა ოქრუაშვილის მამხილებელი ჩვენება მისცა.

როგორც კოტრიკაძე აცხადებს, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, მათ მსჯავრდებული პირებისგან პირდაპირი ჩვენებები მოიპოვეს, რომლითაც ისინი ირაკლი ოქრუაშვილს დანაშაულის ჩადენაში ამხელენ.

ამასთან, პროკურორი აცხადებს, რომ მამხილებელი ჩვენებების გარდა, საქმეში მობილური ტელეფონის შემავალი-გამავალი ზარები არსებობს, რითაც დასტურდება კავშირი ირაკლი ოქრუაშვილსა და შემთხვევის ადგილზე მყოფ მაღალჩინოსნებს შორის.

კოტრიკაძის თქმით, ოქრუაშვილმა მსჯავრდებულ პირებს შემთხვევის ადგილის ფალსიფიკაციის დავალება მისცა.

– გამოძიება დიდი ხანია გრძელდება, მაგრამ იმისთვის, რომ დაწყებულიყო სისხლის სამართლებრივი დევნა, საჭირო იყო მტკიცებულებითი სტანდარტი. ამისთვის საკმარისი მტკიცებულებები უახლოეს პერიოდში იქნა მოპოვებული.

ამ საქმეზე 5 პირია პასუხისგებაში მიცემული, იქიდან ნაწილი თანამშრომლობდა, ნაწილი არა. ვერც თეორიულად და ვერც პრაქტიკულად, მტკიცებულებებს ვერ მოვიპოვებდით, თუ პირები გარკვეულ ეტაპზე არ ითანამშრომლებდნენ.

ამ ეტაპზე, რიგმა პირებმა გადაწყვიტეს თანამშრომლობა და განცხადებით მოგვმართეს. ბუნებრივია, პროკურორიც და გამომძიებელიც, განცხადებით მომართვის შემდეგ, ვალდებულია, კონკრეტული პირები დაკითხოს.

მოგეხსენებათ, 5 მსჯავრდებული პირიდან, ერთი თავის დროზე თანამშრომლობდა, დარჩენილი 4 პირიდან ორმა სწორი და რეალური ჩვენება მოგვცა, რაც დასაფასებელია, – განაცხადა კოტრიკაძემ.

მისივე განმარტებით, ირაკლი ოქრუაშვილმა თავის დროზე გამოძიებას არასწორი ინფორმაცია მიაწოდა, როცა აღნიშნა, რომ მან ბუტა რობაქიძის მკვლელობის შესახებ მომდევნო დილას გაიგო.

– როცა ირაკლი ოქრუაშვილი დავკითხეთ, განაცხადა, რომ ბუტა რობაქიძის მკვლელობის ფაქტი იმავე ღამეს არ გაუგია და მხოლოდ მეორე დილით, სადღეღამისო კრებსებით გაიგო.

მოპოვებული მტკიცებულებებით დავადასტურეთ, რომ შემთხვევიდან რამდენიმე წუთში, კერძოდ 02:27 საათზე და 02:37 საათზე, მის მფლობელობაში არსებული ტელეფონიდან დარეკილი აქვს შემთხვევის ადგილზე მყოფი მაღალჩინოსნებისთვის. შესაბამისად, მისი სატელეფონო ზარის შემდეგ გაყალბდა შემთხვევის ადგილი, დამახინჯდა სიმართლე, – განაცხადა კოტრიკაძემ.

საფრანგეთი თავშესაფარს შესთავაზებს მხოლოდ იმ ქართველებს, ვინც ამას ნამდვილად იმსახურებს

ვახტანგ გომელაური პარიზში საფრანგეთის შს მინისტრ კრისტოფ კასტანერს შეხვდა

საქართველოს შს მინისტრი ვახტანგ გომელაური ოფიციალური ვიზიტით საფრანგეთის რესპუბლიკას ეწვია.

ვიზიტის ფარგლებში გაიმართა ორმხრივი შეხვედრა საფრანგეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრთან, კრისტოფ კასტანერთან.

შეხვედრაზე ვახტანგ გომელაურმა მადლობა გადაუხადა ფრანგ კოლეგას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერისთვის და ხაზი გაუსვა საფრანგეთის რესპუბლიკის მხარდაჭერის მნიშვნელობას საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესში.

ვიზიტის მიზანია ორ ქვეყანას შორის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის შემდგომი გაძლიერება და ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის გამოწვევების საპასუხოდ ერთობლივი ღონისძიებებისა და სამომავლო გეგმების განხილვა.

ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის გამოწვევების საპასუხოდ, 2019 წლის მაისში ხელი მოეწერა საფრანგეთისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის ადმინისტრაციულ შეთანხმებას.

შეხვედრაზე მინისტრებმა ხაზი გაუსვეს სექტემბერში მივლენილი ქართველი ოფიცრების წარმატებულ საქმიანობას, რომლებიც საფრანგეთის ჟანდარმერიის, ეროვნული პოლიციისა და სასაზღვრო პოლიციის დანაყოფებში ფრანგ კოლეგებთან ერთად მუშაობენ.

შეხვედრის შემდეგ, საქართველოსა და საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრები პირადად გაესაუბრნენ ქართველ ოფიცრებს და მათ ფრანგ ხელმძღვანელებს, განიხილეს მათი საქმიანობის მიმდინარეობა და ერთობლივ მუშაობაში წარმატება უსურვეს.

შეხვედრის დასასრულს გაიმართა მინისტრების ერთობლივი პრეს-კონფერენცია, სადაც მედიას უწყებებს შორის მიმდინარე თანამშრომლობის, არსებული გამოწვევების საპასუხოდ გატარებული ზომების და მათი შედეგების შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია.

– პირველ რიგში, მინდა, ძალიან დიდი მადლობა ვუთხრა ბატონ მინისტრს მოწვევისთვის. ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის, საქართველოსთვის, საფრანგეთის მხარდაჭერა. ვიზალიბერალიზაცია ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ჩვენი ქვეყნისთვის და ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ეს არ დავკარგოთ.

ჩვენი ინტეგრირება ევროპაში არის ქართველი ხალხისთვის მნიშვნელოვანი, ამას კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს. ვთანამშრომლობთ რა, როგორც მიგრაციის, ასევე, ორგანიზებული დანაშაულის მიმართულებით, რაც დღეს საფრანგეთის მიმართულებით მნიშვნელოვანია.

ბატონი მინისტრი ბრძანდებოდა საქართველოში, შეხვდა ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს, დღევანდელ უკვე პრემიერ-მინისტრს, შეთანხმდნენ სხვადასხვა მიმართულებაზე, მათ შორის, სწორედ მიგრაციის და ორგანიზებული დანაშაულის კუთხით. დამატებით იქნა მოვლენილი სამი ოფიცერი და ვფიქრობთ კიდევ ოფიცრების დამატებას, რათა საფრანგეთში არ მოხდეს თავშესაფრის მაძიებლების რაოდენობის ზრდა.

ჩვენ მზად ვართ საფრანგეთთან თანამშრომლობისთვის და დარწმუნებული ვარ, ერთობლივი ძალებით მივაღწევთ იმას, რომ ეს ციფრები, რა თქმა უნდა, დაიკლებს და წამოვა ქვევით, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ქართველ კოლეგას თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა. ასევე, კრისტოფ კასტანერმა პრემიერ-მინისტრად დანიშვნა მიულოცა გიორგი გახარიას, რომელსაც მაისში, თბილისში შეხვდა, როდესაც მას შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა ეკავა.

– ამა წლის პირველ თვეში, საქართველო იყო პირველ ადგილზე თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობით – ეს იყო ანომალია, რადგან საქართველო საფრანგეთის მიერ აღიარებულია უსაფრთხო ქვეყნად და ვიცით, რომ საქართველო არის თანამედროვე და განვითარებადი ქვეყანა, რომელიც ხარისხიან სერვისს სთავაზობს ხელმისაწვდომ ფასად და ხანდახან უფასოდ თავის მოქალაქეებს, დაახლოებით, იგივე ვალდებულებებით, როგორც ეს საფრანგეთშია.

მიმდინარე წლის პირველი თვეების განმავლობაში ძალიან დიდი რაოდენობით დაფიქსირდა ქართველ თავშესაფრის მაძიებელთა განაცხადები, რომლებიც ვიზალიბერალიზაციის ფარგლებში ჩამოვიდნენ საფრანგეთში, თუმცა 97% შემთხვევებზე თანხმობა არ იქნა გაცემული.

ჩვენ ქართულ მხარესთან განვიხილეთ კონტროლის ცალკეული მექანიზმების შემოღების საკითხი, მათ შორის გაფრენის და ჩაფრენის აეროპორტებში, ჩვენ გამოვთქვით ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით თანამშრომლობის გაძლიერების სურვილი. მინდა აღვნიშნო ის მიღწევები, რომლებიც გვაქვს და მადლობა გადავუხადო ჩემს ქართველ კოლეგას მაღალი ხარისხის თანამშრომლობისთვის.

საქართველოში ჩემი ვიზიტის შემდეგ, არსებული თანამშრომლობის ფარგლებში, ბოლო თვეების განმავლობაში ფიქსირდება თავშესაფრის მაძიებელთა მნიშვნელოვანი კლება, დაახლოებით, 50%-ით. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ შევინარჩუნოთ ეს, რაც შეიძლება მაღალ დონეზე.

თანამშრომლობა მნიშვნელოვანია დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხითაც და ჩვენ მივესალმებით 3 ქართველი სამართალდამცველის ყოფნას პარიზში, რომლებსაც კიდევ დაემატებათ 2 მეკავშირე ოფიცერი, რომლებიც ჩვენს სამსახურებთან ერთად იმუშავებენ.

მესმის, მიგრაციასთან დაკავშირებით, შესაძლოა, არსებობდეს დელიკატური სიტუაციები, მაგრამ მსურს დავაფიქსირო საფრანგეთის პოზიცია, რომ საფრთხის ქვეშ არ დადგება ევროკავშირსა და საქართველოს შორის არსებული შეთანხმება უვიზო მიმოსვლის შესახებ.

ბუნებრივია, არ უნდა დავიშუროთ ძალისხმევა, დავიცვათ ის ადამიანები, როგორც ქართველები, ასევე, სხვა ქვეყნის მოქალაქეები, რომლებსაც ვმასპინძლობთ საფრანგეთის საზღვრებში, მაგრამ როდესაც ამ მექანიზმს იყენებენ სხვა მიზნებისთვის, აუცილებელია, რომ გვქონდეს მტკიცე და თანამშრომლობითი პოზიცია.

ამ თანამშრომლობის ფარგლებში, ასევე, უპრეცედენტო რაოდენობით გავზარდეთ საქართველოსთან მიმართებით საკონსულო მიმართულებით მომუშავე კადრების რაოდენობა.

მე მინდა ვუთხრა ყველა იმ ქართველს, ვინც აპირებს, საფრანგეთში ჩამოვიდეს თავშესაფრის მიღების მიზნით, რომ ჩვენი თანამშრომლობის ფარგლებში, ვიქნებით ძალიან მკაცრები და შევთავაზებთ თავშესაფარს მხოლოდ მათ, ვინც ამას ნამდვილად იმსახურებს.

აქვე, მინდა, მივესალმო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ჩართულობას და ძალისხმევას, – აღნიშნა კრისტოფ კასტანერმა.

ნარკომოვაჭრეებს 9 და 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ჯგუფის მიერ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღებაში ბრალდებულები ბ.კ. და ა.ლ. დამნაშავედ ცნო.

ამავე განაჩენით ბ.კ. დამნაშავედ იქნა ცნობილი ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღების 5 ეპიზოდში, ხოლო ა.ლ. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვაში.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ბ.კ.-მ 2019 წლის 30 იანვრიდან 23 თებერვლის ჩათვლით, ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რომელიც უკანონოდ შეიძინა და ინახავდა, სხვადასხვა ოდენობით: 0,156 გრ., 0,1698გრ., 0,115 გრ, 0,1323 გრ და 0,103 გრ. მოქალაქეზე 250-250 ლარად გაასაღა. ასევე დადასტურდა, რომ ბ.კ.-მ წინასწარი შეთანხმებით ა.ლ.-სთან ერთად, უკანონოდ შეიძინა და შეინახა 0,1 გრ. და 0,14 გრ. „ჰეროინი“, რომელიც 2019 წლის 3 და 4 თებერვალს 250-250 ლარად გაასაღა.

უკანონოდ გასაღებული ნარკოტიკული საშუალებები ამოღებული იქნა სამართალდამცველების მიერ. სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით ასევე დადგინდა, რომ ა.ლ.-მ უკანონოდ შეიძინა და შეინახა 0,0099 გრ. ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რომელიც ამოღებული იქნა მისი საცხოვრებელი ბინიდან.

სამართალდამცველებმა ბ. კ. და ა.ლ. 2019 წლის 1 მარტს ქ.თბილისში დააკავეს.

ბ.კ-ს ბრალდება 5 ეპიზოდზე სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის 1 და მე-4 ნაწილებით (ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღება), ხოლო ორ ეპიზოდზე 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღება წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ) წარედგინა. ა.ლ.-ს 260-ე მუხლის 1 ნაწილით (ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა) და

ორ ეპიზოდზე 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“და მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარედგინა. ორივე ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბ.კ. და ა.ლ. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებებში და სასჯელის სახედ და ზომად ბ.კ.-ს 9 წლით, ხოლო ა.ლ-ს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა უაქციზო სიგარეტი გამოავლინეს

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა, მიმდინარე გატარებული კონტროლის პროცედურების შედეგად, უაქციზო სიგარეტი ჯამში, 72,340 ღერი გამოავლინეს.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, საქონლის მთლიანმა საბაზრო ღირებულებამ 14,468 ლარი შეადგინა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეს ჩამოერთვა საქონელი. საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

მიხეილ გორბაჩოვი: „საბჭოთა კავშირის დაშლა კანონზომიერი იყო“



რუსეთი ყოფილი სსრკ-ის ერთადერთი რესპუბლიკაა, სადაც საბჭოთა კავშირის დაშლის თაობაზე გულწრფელად წუხან. ვლადიმერ პუტინი ამ განწყობილებებს ანგარიშს უწევს.

პუტინმა ვერც რეფორმები გაატარა, ვერც ახალი დემოკრატიული რუსეთი აააშენა. მან ე.წ. ევრაზიული კავშირის შეკოწიწება დაიწყო, რათა პოსტსაბჭოთა სივრცეზე რუსეთის გავლენა რამდენადმე მაინც აღედგინა. ძალადობისა და შანტაჟის მეშვეობით მან ამ კავშირში შეათრია ბელორუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, სომხეთი, უკრაინაზე კი კბილები წაიტეხა.

პუტინის რეიტინგი, რომელიც შარშან 60% იყო, 16%-მდე დაეცა, მანაც ცადა, ყოველივე სსრკ-ის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვისთვის გადაებრალებინა:

– პერესტროიკა ჩავარდა. საბჭოთა კავშირი დაიშალა. ეს გორბაჩოვის არაეფექტური პოლიტიკის შედეგია! მიხეილ სერგეევიჩი რომ არა, არც საბჭოთა კავშირი დაინგრეოდა და არც დონბასის ომი იქნებოდა! – თქვა პუტინმა.

გორბაჩოვმა ამას მალე უპასუხა. თავის ტელეინტერვიუში მან დაშვებული შეცდომები გარკვეულწილად აღიარა, უწინარეს ყოვლისა, განაცხადა, რომ ფართომასშტაბიანი რეფორმების გატარება ვერ გაბედა და სოციალიზმის რეფორმირება ცადა.

– ხმამაღლა უნდა მეთქვა, რომ სოციალიზმი უტოპიაა, ლენინის მოძღვრება მოძველდა! გონებით ეს მესმოდა, ხმამაღლა თქმა ვერ გავბედე, – გაიხსენა გორბაჩოვმა.

მეორე მნიშვნელოვან შეცდომად ის მცდარ ტაქტიკას მიიჩნევს, კერძოდ, იმას, რომ ეროვნული საკითხი ჯეროვნად ვერ შეფასდა. გორბაჩოვმა განაცხადა, რომ კრემლში სერიოზულად ეგონათ, ნაციონალიზმი მხოლოდ ბალტიისპირეთსა და დასავლეთ უკრაინაში შემორჩა. სინამდვილეში საქმე სულ სხვაგვარად აღმოჩნდა – ქართველებმა, უკრაინელებმა, სომხებმა, შუაააზიელებმა სრულფასოვან ერებად იგრძნეს თავი და დამოუკიდებლობა მოინდომეს.

– სსრკ გადაიქცა ვეება გალიად. პერესტროიკის შედეგად ამ გალიის კარი ოდნავ გაიღო. ჩიტიც გაგვიფრინდა. საბჭოთა კავშირის დაშლა კანონზომიერი იყო. ამის შეჩერება არავითარ ძალას არ შეეძლო, – განაცხადა გორბაჩოვმა.

მან პუტინს რამდენიმე რჩევა მისცა. გორბაჩოვმა დამღუპველად მიიჩნია ის, რომ პუტინი უკრაინის დაშლას, საქართველოსგან კი რიგი რეგიონების (აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი) ჩამოშორებას ცდილობს. რუსეთს ეს უკვე ძალიან ძვირი დაუჯდა, მომავალში კი უფრო ძვირი დაუჯდება.

გორბაჩოვის აზრით, პუტინს უნდა ეყოს ვაუკაცობა და თავისი შეცდომები ხმამაღლა აღიაროს, მეტიც, დონბასის ომი რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაამთავროს და უნდა დაიწყოს ყირიმის უკრაინისთვის დაბრუნება. ბუნებრივია, ეს უცებ ვერ მოხდება და დაახლოებით 3-5 წლის საქმეა.

მსგავსი რამ საქართველოს მიმართაც უნდა განხორციელდეს, კერძოდ, დაუბრუნდეს ქართველებს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი.

– თუ პუტინი თავისი ქვეყნის პატრიოტია, მან ასეთი გზა უნდა აირჩიოს! შესაძლებელია, ეს თანამდებობის ან სულაც სიცოცხლის დაკარგვად დაუჯდეს, მაგრამ, თუ შენი ქვეყანა გიყვარს, მისი გულისთვის თავიც უნდა გაწირო, –

ჯაშუშური სკანდალი სერბეთში

ინტერნეტში სკანდალური ვიდეოკადრები გამოჩნდა. მათზე ასახულია რუსეთის გრუ-ს ოფიცერი, რომელიც სერბეთის მაღალი რანგის ჩინოვნიკის გადაბირებას ეწევა და მას ფულს აძლევს.

ამან მთელი სერბეთი ფეხზე დააყენა. პრეზიდენტმა ვუჩიჩმა განაცხადა:

– შემოწმებამ დაადასტურა, რომ ვიდეო ნამდვილია!

ამავე დროს, ვუჩიჩმა დაამატა, რომ რუსეთი სერბეთის უმთავრესი მოკავშირეა და მოსკოვთან თანამშრომლობაც გაგრძელდება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სასტუმროს მენეჯერმა გულმავიწყ კლიენტს მიაკითხა და გამდიდრდა

ამერიკის ნიუ-იორკის შტატის საფოლკის ოლქში საცხობის მენეჯერმა თითქმის 300 კილომეტრი გაიარა, რათა პენსილვანიის შტატის მკვიდრი გულმავიწყი კლიენტისთვის მისი გასაღებები დაებრუნებინა.

დიანა ჩონგს დაწესებულებაში გასაღებების ასხმა და ბრელოკი დარჩა, რომლითაც მანქანა იქოქებოდა. მან დანაკარგი მხოლოდ მაშინ შენიშნა, როდესაც ოჯახთან ერთად სახლში დაბრუნდა.

– ჩვენ გზაში რომ გავჩერებულიყავით, ძაღლის გასასეირნებლად და მანქანა ჩაგვექრო, მაშინ გზაში დიდი ხნით გავიჭედებოდით, – აღნიშნა ქალმა.

საცხობის მენეჯერმა ვინი პროშიამ ჩონგს შესთავაზა, რომ გასაღებებს სატრანსპორტო კომპანიის საშუალებით გაუგზავნიდა, თუმცა ისეთ სერვისს ვერ მიაგნო, რომელიც დასვენების დღეებში შეკვეთას მიიღებდა. ქალს ავტომობილი იმისთვის სჭირდებოდა, რომ ორშაბათს სამსახურში წასულიყო. ამიტომ მენეჯერმა გადაწყვიტა, თავად ჩაეტანა მისთვის გასაღებები და ბრელოკი.

– მე უბრალოდ ვუთხარი: „მალე ჩამოვალ, გამომიგზავნეთ მისამართი და ადგილზე მოგიტანთ“. მსგავსი რამ ჩემ მეუღლეს რომ შემთხვეოდა, ვისურვებდი, რომ მასაც ასევე მოქცეოდნენ, ასე რომ, ეს ყველაზე სწორი გადაწყვეტილება იყო, – განაცხადა 41 წლის პროშიამ.

ჩონგი დაჟინებით ითხოვდა, რომ საცხობის მენეჯერს კომპენსაციის სახით დახარჯული საწვავის საფასურად 200 დოლარი და სასაჩუქრე ბარათი მიეღო.

– მან ყოველგვარი ყოყმანის გარეშე სამსაათნახევარი იმგზავრა ერთი მიმართულებით და ამდენივე უკანა მიმართულებით, შემდეგ კი სულ ორი საათი ეძინა სამსახურში გასვლამდე, – აცხადებს ჩონგი, – ასეთ რამეს ვერც კი წარმოვიდგენდი.

თვად პროშიამ კი აღიარა, რომ უკანა გზაზე სიჩქარის გადაჭარბებისთვის გააჩერეს, მაგრამ, როდესაც პატრულის თანამშრომელმა მისი ისტორია შეიტყო და სასაჩუქრე ბარათიც ნახა, ის დაჯარიმების გარეშე გაუშვა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჩემს სულიერ ძვირფას ძმასა და მეგობარს, კაცობისა და ადამიანობის დიდი თვისებების მქონე

მურთაზ მნათობიშვილს

ვულოცავ დაბადების დღეს – 80 წლისთავს!

ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლესა და ღიმილიან, ბედნიერ დღეებს!

შენი ძმა და მეგობარი
დემურ კალანდაძე

კოლუმბიამ საზღვრები დაკეტა

კოლუმბია მასშტაბური საპროტესტო აქციების მოლოდინში საზღვრებს დროებით კეტავს.

ქალაქ კალიში კომენდანტის საათია გამოცხადებული.

ქალაქის მერის ინფორმაციით, მას, ვინც გამოცხადებული დროის განმავლობაში გარეთ აღმოჩნდება, დააპატიმრებენ.

რაც შეეხება საზღვრის ჩაკეტვას, ადგილობრივი მთავრობის ცნობით, ქვეყანაში შესვლა ეკვადორიდან, პერუდან, ბრაზილიიდან და ვენესუელიდან შეუძლებელი იქნება.

მთავრობა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს უფლებას აძლევს, დააწესონ საგანგებო ზომები, მათ შორის კომენდანტის საათი, გადაადგილების შეზღუდვები და ალკოჰოლური სასმელების გაყიდვის აკრძალვა.

ქვეყანაში მასშტაბური დემონსტრაციები მიმდინარეობს. პროტესტანტები მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ პირობებს აპროტესტებენ.

წყვილმა ახალ სახლში უჩვეულო სამალავს მიაგნო

ინგლისის ნოტინჰემშირის საგრაფოს ქალაქ ჰაკნოლოს მცხოვრებლებმა საკუთარ სახლში სამალავს მიაგნეს.

დარენ სტილსი თავის პარტნიორთან ერთად ახალ ბინაში 2017 წლის ივლისში გადავიდა საცხოვრებლად. იმ დროიდან მოყოლებული, წყვილი უკმაყოფილო იყო იმით, რომ სამზარეულოში დენის ჩამრთველი არ მუშაობდა.

– ჩვენ უშედეგოდ ვცდილობდით მასში ელექტროტექნიკის შეერთებას, – იხსენებს 45 წლის მამაკაცი, – ჩვენთვის კომფორტული იქნებოდა, თუ მასში მტვერსასრუტის ჩართვას შევძლებდით, რათა მისი მავთული მთელ სამზარეულოში არ გაგვეჭიმა.

წყვილმა ორი წლის უშედეგო მცდელობის შემდეგ გადაწყვიტა, ელექტრომექანიკოსი მოეწვიათ იმის გასარკვევად, თუ რატომ არ მუშაობდა ჩამრთველი.

– მე უბრალოდ დამღალა მისი გამართვის უშედეგო მცდელობებმა, – აღიარა სტილსმა. სპეციალისტმა გაარკვია, რომ ჩამრთველი დენზე არ იყო მიერთებული. მან დამცველი ხუფი მოხსნა და მის ქვეშ საიდუმლო სეიფი აღმოაჩინა.

– მასში მხოლოდ მტვერი, ქსელები და მკვდარი ობობები იყო, – აღნიშნა სტილსმა.

ამ ინფორმაციის სოციალურ ქსელებში გავრცელების შემდეგ, მას ინტერნეტ-მომხმარებლების მხრიდან ფართო გამოხმაურება მოყვა, რომელთა უმრავლესობა იუმორით იყო გაჯერებული, ზოგიერთში კი მან ჯეიმს ბონდის ფილმების ასოციაცია აღძრა.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის ანევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ტოტენჰემში მოურინიოს დებიუტი შედგება

სტატისტიკა, ფსონები

მომავალ უქმეებზე რამდენიმე კარგი მატჩია. მათგან გამოვარჩევთ პრემიერლიგურ შეხვედრებს: ლონდონური დერბი ვესტ ჰემსა და ტოტენჰემს შორის. დეზებს ახალი მწვრთნელი ჰყავთ – ჟოზე მოურინიო. იქვე შორიახლოს ჩელსი დაუხვდება მანჩესტერ სიტის.

ინგლისი

23.11 ვესტ ჰემი-ტოტენჰემი	4.15	4.00	1.80
23.11 არსენალი-საუთჰემპტონი	1.50	4.60	6.00
23.11 ევერტონი-ნორვიჩი	1.40	4.90	7.25
23.11 ბრაიტონი-ლესტერი	3.65	3.50	2.05
23.11 ბორნმუთი-ვულვზი	2.75	3.30	2.60
23.11 უოტფორდი-ბარნლი	2.30	3.30	3.25
23.11 კრ.პალასი-ლივერპული	6.75	4.45	1.50
23.11 სიტი-ჩელსი	1.45	4.85	6.25
24.11 შეფილდი-მანჩესტერი	3.50	3.25	2.20
25.11 ასტონ ვილა-ნიუკასლი	2.10	3.45	3.50

სატურნირო ცხრილი:

1.ლივერპული	12	11	1	0	28-10	34
2.ლესტერი	12	8	2	2	29-8	26
3.ჩელსი	12	8	2	2	27-17	26
4.სიტი	12	8	1	3	35-13	25
5.შეფილდი	12	4	5	3	13-9	17
6.არსენალი	12	4	5	3	16-17	17
7.მანჩესტერი	12	4	4	4	16-12	16
8.ვულვზი	12	3	7	2	16-15	16
9.ბორნმუთი	12	4	4	4	15-15	16
10.ბრაიტონი	12	4	3	5	15-17	15
11.ბარნლი	12	4	3	5	17-18	15
12.კრ.პალასი	12	4	3	5	10-16	15
13.ნიუკასლი	12	4	3	5	11-18	15
14.ტოტენჰემი	12	3	5	4	18-17	14
15.ევერტონი	12	4	2	6	13-18	14
16.ვესტ ჰემი	12	3	4	5	14-20	13
17.ასტონ ვილა	12	3	2	7	17-20	11
18.უოტფორდი	12	1	5	6	8-23	8
19.საუთჰემპტონი	12	2	2	8	11-29	8
20.ნორვიჩი	12	2	1	9	11-28	7

გერმანია

23.11 ფორტუნა-ბაიერნი	13.00	7.50	1.20
23.11 ლევერკუზენი-ფრაიბურგი	1.50	4.60	6.00
23.11 უნიონი-გლადბახი	3.45	3.60	2.05
23.11 ვერდერი-შალკე	2.50	3.65	2.70
23.11 აინტრახტი-ვოლფსბურგი	2.05	3.65	3.45
23.11 ლაიფციგი-კიოლნი	1.35	5.50	7.75
24.11 აუგსბურგი-ჰერტა	2.60	3.50	2.65
24.11 ჰოფენჰაიმი-მაინცი	1.70	4.15	4.75

სატურნირო ცხრილი:

1.გლადბახი	11	8	1	2	24-11	25
2.ლაიფციგი	11	6	3	2	29-12	21
3.ბაიერნი	11	6	3	2	29-16	21
4.ფრაიბურგი	11	6	3	2	20-12	21
5.ჰოფენჰაიმი	11	6	2	3	16-14	20
6.დორტმუნდი	11	5	4	2	23-15	19
7.შალკე	11	5	4	2	20-14	19
8.ლევერკუზენი	11	5	3	3	17-15	18
9.აინტრახტი	11	5	2	4	21-16	17
10.ვოლფსბურგი	11	4	5	2	11-10	17
11.უნიონი	11	4	1	6	13-17	13
12.ჰერტა	11	3	2	6	17-21	11
13.ვერდერი	11	2	5	4	18-24	11
14.ფორტუნა	11	3	2	6	15-19	11
15.აუგსბურგი	11	2	4	5	13-24	10
16.მაინცი	11	3	0	8	12-30	9
17.კიოლნი	11	2	1	8	10-23	7
18.მადერბორნი	11	1	1	9	11-26	4

ესპანეთი

23.11 ლეგანესი-ბარსელონა	6.75	4.50	1.45
23.11 ბეტისი-ვალენსია	2.45	3.45	2.85
23.11 გრანადა-ატლეტიკო	4.80	3.15	1.90
23.11 რეალი-სოსიედადი	1.40	5.25	7.00
24.11 ესპანიოლი-ხეტაფე	2.80	2.95	2.80
24.11 ოსასუნა-ბილბაო	2.60	3.00	3.05
24.11 ეიბარი-ალავესი	1.85	3.45	4.60
24.11 ვილიარეალი-სელტა	1.75	3.90	4.55
24.11 ვალიადოლიდი-სევილია	3.95	3.55	1.95

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	12	8	1	3	33-15	25
2.რეალი	12	7	4	1	25-9	25
3.ატლეტიკო	13	6	6	1	15-8	24
4.სევილია	13	7	3	3	17-14	24
5.სოსიედადი	13	7	2	4	21-14	23
6.ბილბაო	13	5	5	3	13-8	20
7.ხეტაფე	13	5	5	3	18-15	20
8.გრანადა	13	6	2	5	19-17	20
9.ვალენსია	13	5	5	3	19-18	20
10.ოსასუნა	13	4	7	2	16-13	19
11.ვილიარეალი	13	5	3	5	26-19	18
12.ლევანტე	13	5	2	6	16-16	17
13.ვალიადოლიდი	13	4	5	4	14-17	17
14.ალავესი	13	4	3	6	14-18	15
15.ეიბარი	13	4	3	6	14-21	15
16.მალიორკა	13	4	2	7	12-19	14
17.ბეტისი	13	3	4	6	15-23	13
18.სელტა	13	2	3	8	7-19	9
19.ესპანიოლი	13	2	2	9	7-23	8
20.ლეგანესი	13	1	3	9	7-22	6

იტალია

23.11 ატალანტა-იუვენტუსი	2.90	3.55	2.35
23.11 მილანი-ნაპოლი	3.15	3.50	2.25
23.11 ტორინო-ინტერი	4.40	3.60	1.85
24.11 ბოლონია-პარმა	1.80	3.80	4.35
24.11 ვერონა-ფიორენტინა	3.15	3.25	2.35
24.11 სასუოლო-ლაციო	4.30	4.10	1.75
24.11 რომა-ბრეშა	1.35	5.00	8.00
24.11 სამპდორია-უდინეზე	2.15	3.20	3.60
24.11 ლეჩე-კალიარი	3.15	3.55	2.20
25.11 სპალი-ჯენოა	2.55	3.25	2.85

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	12	10	2	0	20-9	32
2.ინტერი	12	10	1	1	26-12	31
3.ლაციო	12	7	3	2	28-13	24
4.კალიარი	12	7	3	2	23-12	24
5.რომა	12	6	4	2	20-14	22
6.ატალანტა	12	6	4	2	30-18	22
7.ნაპოლი	12	5	4	3	21-15	19
8.პარმა	12	5	2	5	18-15	17
9.ფიორენტინა	12	4	4	4	18-19	16
10.ვერონა	12	4	3	5	10-11	15
11.ტორინო	12	4	2	6	15-17	14
12.უდინეზე	12	4	2	6	8-18	14
13.სასუოლო	11	4	1	6	21-21	13
14.მილანი	12	4	1	7	11-16	13
15.ბოლონია	12	3	3	6	16-20	12
16.ლეჩე	12	2	4	6	15-25	10
17.ჯენოა	12	2	3	7	14-26	9
18.სამპდორია	12	2	3	7	7-19	9
19.სპალი	12	2	2	8	7-18	8
20.ბრეშა	11	2	1	8	10-20	7

საფრანგეთი

23.11 ლიონი-ნიცა	1.45	4.65	7.50
23.11 ანჟე-ნიმი	1.70	3.65	5.25
23.11 ბრესტი-ნანტი	2.95	3.15	2.55
23.11 მეცი-რეიმსი	2.85	2.90	2.80
23.11 დიჟონი-რენი	2.95	3.25	2.50
23.11 ამიენი-სტრასბური	2.45	3.05	3.20
24.11 ბორდო-მონაკო	3.20	3.50	2.20
24.11 სტ.ეტიენი-მონპელიე	2.35	3.20	3.20
24.11 ტულუზა-მარსელი	3.35	3.40	2.20

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	13	10	0	3	28-8	30
2.მარსელი	13	6	4	3	16-11	22
3.ანჟე	13	6	3	4	17-16	21
4.სტ.ეტიენი	13	6	3	4	15-17	21
5.ლილი	13	5	4	4	18-13	19
6.მონპელიე	13	5	4	4	14-10	19
7.ბორდო	13	5	4	4	18-15	19
8.რეიმსი	13	5	4	4	9-6	19
9.ნანტი	13	6	1	5	11-12	19
10.რენი	12	5	3	4	16-13	18
11.მონაკო	13	5	3	5	20-22	18
12.ბრესტი	13	4	5	4	14-16	17
13.ნიცა	13	5	2	6	16-19	17
14.ლიონი	13	4	4	5	20-13	16
15.ამიენი	13	4	4	5	17-20	16
16.სტრასბური	13	4	3	6	11-14	15
17.მეცი	13	3	4	6	11-18	13
18.ტულუზა	13	3	3	7	15-25	12
19.დიჟონი	13	3	3	7	7-14	12
20.ნიმი	12	2	5	5	11-16	11

საქართველოს ნაკრების ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი იზრდება

საქართველოს საფეხბურთო ნაკრებს უნიკალური შანსი აქვს, ევროპის ჩემპიონატზე ითამაშოს.

აქამდე ცნობილი იყო, რომ ჩვენი გუნდი ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად ბელარუსთან, ჩრდილოეთ მაკედონიასთან და კოსოვოსთან ერთად იბრძოლებდა. დ დივიზიონის ჯგუფების გამარჯვებულები ნახევარფინალში დაკავებული ადგილების მიხედვით დაწყვილდნენ: საქართველო-ბელარუსი და ჩრდ.მაკედონია-კოსოვო. მასპინძლებიც ამ პრინციპით შეირჩა. გასარკვევი იყო, თუ რომელ წყვილში გამარჯვებული უმასპინძლებდა ფინალს.

საბოლოოდ, ყველაფერი საჩვენოდ გადაწყდა – შესაბამისად, საქართველო-ბელარუსის წყვილში გამარჯვებული ფინალურ მატჩს საკუთარ მოედანზე ჩაატარებს.

შეგახსენებთ, რომ ერთა ლიგის ნახევარფინალები – 26 მარტს, ხოლო ფინალი 31 მარტს გაიმართება.

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

სამგლოვიარო განცხადებები



შვილები ნანა, ლამარა, ნინო, ძმისშვილები ინესა, თამარა, ვლადიმერი, უჩა ვახანიები, დისშვილები ალექსანდრე, რომეო თვალთვაძეები, შვილიშვილები ოთარ და რევაზ ხარჩილავები, გიორგი და ნიკო გელაშვილები, შვილთაშვილები დიანა, კონსტანტინე, მიხეილ, ნინო, ელისაბედ, ალექსანდრე, ანასტასია, ანდრია, სიძე მალხაზ გელაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოთარ ვლადიმერის ძე ვახანია

პანაშვიდი: 22, 23 ნოემბერს, 16 საათზე, პეკინის II კვარტალი, VII კორპუსი, II სადარბაზო, VIII სართული.

გამოსვენება: კვირას, 24 ნოემბერს, 14 საათზე, საბურთალოს სასაფლაოს წმინდა გიორგის პანთეონის ეკლესიიდან.

ოთარ ვახანია

დაიბადა 1925 წლის 2 იანვარს. 1942 წელს დაამთავრა სოხუმის მესამე საშუალო სკოლა, 1947 წელს – საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი; 1947 წლის სექტემბრიდან 2019 წლის თებერვლამდე მუშაობდა სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში და მის სამართალმემკვიდრე სოხუმის უნივერსიტეტში. 71 წელი ეწეოდა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. ის უცვლელად ხელმძღვანელობდა თავისი ინიციატივით დაარსებულ ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრასა და ფიზიკური აღზრდის სპეციალობას. კათედრამ გამოუშვა 1000-ზე მეტი კვალიფიცირებული ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი, რითაც სრულად დააკმაყოფილა აფხაზეთისა და სამეგრელოს რეგიონის სკოლების მოთხოვნა ფიზიკური აღზრდის კვალიფიცირებულ მასწავლებელზე. 1961 წელს დაიცვა დისერტაცია, 1962 წელს მიენიჭა დოცენტის წოდება. გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 6 მონოგრაფია აფხაზეთის ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკითხებზე.

ოთარ ვახანია დევნილობის პერიოდში შეთავსებით მუშაობდა აფხაზეთის სპორტის დეპარტამენტში სპორტის განყოფილების გამგედ და სპორტის აკადემიაში პროფესორის თანამდებობაზე. აღსანიშნავია, რომ სპორტის განყოფილების ენერგიული მუშაობის შედეგად აფხაზეთის სპორტსმენებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სხვადასხვა რანგის შეჯიბრებაში, მათ შორის ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში.

სპორტის სფეროში და სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ოთარ ვახანია დაჯილდოებულია აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით 5-ჯერ, ღირსების ორდენით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით, მედლით „1941-1945 წწ. შრომითი მამაცობისთვის“, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის დიპლომით. ოთარ ვახანიას მინიჭებული აქვს საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწისა და სპორტის რაინდის საპატიო წოდებები.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

მამაკაცმა 10 წუთში 100 ცალი ქათმის ნაგეთსი შეჭამა

ინგლისის სანდერლენდის საგრაფოს ქალაქ ჰოუტონ-ლე-სპრინგის მცხოვრები საკვების ჭამის შეჯიბრის პროფესიონალი მონაწილე გახდა, მიუხედავად იმისა, რომ ის თავად მხოლოდ 76 კილოგრამს იწონის.

21 წლის კაილ გიბსონი საგანგებოდ ავარჯიშებს საკუთარ კუჭს შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად. ის ერთ-ერთ ადგილობრივ ბარში მუშაობს და ამიტომ შეუძლია დიდი ოდენობით კერძი მიირთვას დაწესებულების სამზარეულოში.

შეჯიბრის ფარგლებში გიბსონმა 10 წუთში 100 ცალი ქათმის ნაგეთსის შეჭმა შეძლო და განაცხადა, რომ ამის შემდეგ კიდევ 150 ნაგეთსის შეჭმას შეძლებდა.

თავის კარიერაში ბრიტანელს შეჭმული აქვს 14 ათასი კალორიის ბურგერი, ინგლისში უდიდესი ნუთელას ფუნთუშა და 81 სანტიმეტრიანი პიცა. ამ დროს კი გიბსონი სულ 76 კილოგრამს იწონის, ყოველდღე სპორტულ დარბაზში დადის და ამტკიცებს, რომ თავს შესანიშნავად გრძნობს.

გიბსონი აშშ-ში სწრაფი ჭამის შეჯიბრებებში მონაწილეობას გეგმავს, სადაც ამგვარი კონკურსები გაცილებით პოპულარულია, ვიდრე მის სამშობლოში.

მამაკაცმა ლატარიაში მოგების შემდეგ ცოლი მიატოვა

ტაილანდში ქმარი ცოლს მას შემდეგ გაშორდა, როდესაც ლატარიაში გაიმარჯვა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

შაბათს პორნტიდა ჩამნანვეტმა და მისმა ქმარმა ვიჯაკ ვანაპრასიტმა ლატარიის ბილეთი შეიძინეს და ექვსი მილიონი ბატი მოიგეს.

წყვილმა მოგება პოლიციის განყოფილებაში დაარეგისტრირა. მათ ლატარიის ბილეთს საკუთარი სახელები დააწერეს და შეთანხმდნენ, რომ თანხას თანაბრად გაიყოფდნენ.

თუმცა, მეორე დღეს, ვანაპრასიტმა მეუღლეს განუცხადა, რომ მას მხოლოდ მოგების მესამედს მისცემდა, რასაც ცოლ-ქმარს შორის კონფლიქტი მოჰყვა. მათმა ჩხუბმა იმდენად სერიოზული ხასიათი მიიღო, რომ მამაკაცმა ბილეთს ხელი დაავლო და სახლიდან გაიქცა.

ჩამნანვეტმა კვირას პოლიციის ადგილობრივ განყოფილებაში განცხადება შეიტანა, რომელშიც ითხოვს, რომ მის მეუღლეს მოპარული მოგება არ გაუნაღდონ. ადვოკატის თქმით, ქალის მეუღლეს სამ წლამდე პატიმრობა ემუქრება მოგებული ბილეთის მითვისებისთვის.

ამ ისტორიის მას მედიაში გახმაურების შემდეგ, ქმარი მეუღლესთან დაბრუნდა და პირობა დადო, რომ მოგებას თანაბრად გაიყოფენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ქართული ხალხური ქალვაჟის ცეკვა; 2. ვირტუოზი იტალიელი მევიოლინე მამაკაცი; 3. სასტუმროს თანამშრომელი; 4. მიწის ფართობის საზომი ერთეული ძველად საქართველოში; 5. სტაფილოში არსებული პიგმენტი; 8. აეროპორტი მადრიდში; 12. აზიაში გავრცელებული კუზიანი ხარი; 13. კამათი ლიტერატურული, მეცნიერული ან პოლიტიკური საკითხების განხილვისას; 14. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი საქართველოში; 16. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი; 18. უნგრელი კომპოზიტორი; 20. იაპონური ბრინჯის არაყი.

თარაზულად: 6. უბანი ქუთაისში; 7. სამეცნიერო ხარისხის მინიჭება; 8. ცნობილი ფრანგი ბალეტმეისტერი; 9. მოძრავი სცენა თეატრში; 10. სამონასტრო კომპლექსი თეთრიწყაროს რაიონში; 11. საფრანგეთის ნაკრებისა და „ბარსელონის“ ფეხბურთელი; 15. სტაჟიორი, პრაქტიკანტი ადვოკატი ბრიტანეთში; 17. მდინარე ტოკიოში; 19. ფირმა „როლექსის“ დამფუძნებელი; 21. მუსლიმანური რელიგიური დოგმების ფანატიკოსი მიმდევარი; 22. ძველებური სამგზავრო ჩანთა; 23. „ფორმულა“-1-ში მონაწილე ფრანგი ავტომრბოლელი.

შეადგინა თ. გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. აბზინდა; 2. ფესახი; 3. ესმერალდა; 4. ჩითილი; 5. სარკაზმი; 7. ბატე; 11. დრენაჟი; 13. მესხეთი; 15. მურწა; 16. ყურჭი; 18. ოპუსი; 19. კოპრა.

თარაზულად: 6. ბომბეი; 8. მენისკი; 9. თითბერი; 10. ნერეიდა; 12. ხირსა; 14. შირაზი; 17. დისკოთეკა; 20. ვიადუკი; 21. მწყერი; 22. სიურტე; 23. ბილტმორი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. მაესტრო; 2. ჰიპოთეზა; 3. ბატიკა; 4. ტუსკი; 5. ქოლერიკი; 8. სავოიარი; 12. დანი; 13. ჰონოლულუ; 14. ისრიმი; 16. მარიჯანი; 18. კოლიე; 20. ოსლო.

თარაზულად: 6. ხანჯლური; 7. წყალტუბო; 8. სუდოკუ; 9. სტელა; 10. მელომანი; 11. შვიდეული; 15. ზომერჰოისი; 17. აილამა; 19. მონოციკლი; 21. ბურვილი; 22. ბუდაპეშტი; 23. ნოკაუტი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

23 ნოემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9749

ევრო — 3.2899

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.8305

100 რუსული რუბლი — 4.6712

ამინდის პროგნოზი 23 ნოემბერი

26 ნოემბრიდან

იაკობ გოგებაშვილი

საგანძური

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

ირაკლი მაქაცარიამ პირველი საიუველირო კოლექციის პრეზენტაცია გამართა

უკრაინის დედაქალაქ კიევში ტელეწამყვანმა და ბიზნესმენმა ირაკლი მაქაცარიამ თავისი საიუველირო ბრენდის პირველი კოლექციის პრეზენტაცია გამართა.

– კიევში შედგა ჩემი საიუველირო ბრენდისა და საქველმოქმედო ფონდ „ირაკლი მაქაცარიას“ პრეზენტაცია. პირველი კოლექციის თემად ავირჩიეთ „ცხოვრების ჯანსაღი წესი“ და მისი სიმბოლო ჰანტელი, რომლის ირგვლივაც შევქმენით ქალისა და მამაკაცის კოლექცია. გაყიდული პროდუქციიდან შემოსული თანხის 25% გადაირიცხება ფონდში, რომლის პირველადი მიზანია ნაადრევად დაბადებული ბავშვებისთვის საჭირო სამედიცინო აპარატურის შესყიდვა ადგილობრივ სამშობიარო სახლში.

უახლოეს მომავალში ვაპირებთ საქართველოში იმავე გეგმის განხორციელებას. ერთად ვაკეთოთ კეთილი საქმე!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

23 ნოემბრისათვის

ვერძი – პასიური დღეა. თუ სისუსტეს გამოიჩენთ, ეს თქვენს წარმატებაზე უთუოდ აისახება. ზედმეტი მზრუნველობა ახლობლებისადმი საჭირო არ არის. **კურო** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. ეს დღე თქვენი შემოქმედებითი აღმავლობის დასაწყისია. სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. **ტყუპები** – აგრესიულობა და ლიდერობისკენ სწრაფვა კოლეგებთან და ახლობლებთან ურთიერთობას გაგიფუჭებთ. ამას შესაძლოა ფინანსური დანაკარგებიც მოჰყვეს. **კირჩხიბი** – ძალზე იღბლიანი დღეა, განსაკუთრებით – საჯარო მოხელეთათვის. ექსპერიმენტებისგან თავი შეიკავეთ. **ლომი** – კომერციული ოპერაციები წარმატებით დაგვირგვინდება. გარისკეთ. არ ინანებთ. ეს ყველაფერი თქვენს შემოქმედებით ზრდასა და ავტორიტეტზე დადებით გავლენას მოახდენს. **ქალწული** – მშობლებისა და ბავშვების მიმართ მეტი ლოიალობა გამოიჩინეთ. ეს დღე ერთგვარი გამოცდა იქნება. **სასწორი** – მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **ღრიანკალი** – დაისვენეთ და გაერთეთ მშვიდ გარემოში. საღამოს საინტერესო ახალ ამბავს გაიგებთ. **მშვილდოსანი** – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **თხის რქა** – ჯანმრთელობის მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ნერვებს გაუფრთხილდით და ნუ გადაიღლებით. ეცადეთ, იყოთ დამოუკიდებელი და სიტუაცია თქვენ სასარგებლოდ მართოთ. **ვერცხელი** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **თევზები** – თუ საჭიროდ მიიჩნევთ, ბოდიშიც მოიხადეთ. დათმობა, მიმტევებლობა, ლოიალობა დღის დევიზია.

24 ნოემბრისათვის

ვერძი – დღეს სამოგზაუროდ ნუ წახვალთ. ნებისმიერი ვოიაჟით უკმაყოფილო დარჩებით. სიზმარი, სავარაუდოდ, წინასწარმეტყველური იქნება. **კურო** – სოციალურ სფეროში ფართო პერსპექტივები ჩნდება. კეთილისმყოფელი დღეა სამომავლო გეგმების შესამუშავებლად. **ტყუპები** – საოჯახო საქმეების მოგვარება დაუყოვნებლივ დაიწყეთ. მამაკაცები ფინანსებს გაუფრთხილდით. **კირჩხიბი** – დასვენება გჭირდებათ. ოჯახში მშვიდი ატმოსფეროა. ბავშვებთან ურთიერთობა სიამოვნებას მოგანიჭებთ. **ლომი** – ცვლილებების დროა. ელოდეთ როგორც პოზიტივს, ისე – ნეგატივს. ნუ იაქტიურებთ. **ქალწული** – პასიური დღეა. ნუ გარისკავთ, განსაკუთრებით – ფინანსური კუთხით. **სასწორი** – ნებისმიერი საქმიანი კონტაქტი იღბლიანია. გელით რომანტიკული შეხვედრა. **ღრიანკალი** – გარშემომყოფებთან ურთიერთობაში უფრო დამთმობი და მოსიყვარულე უნდა იყოთ. თქვენს მდგომარეობას ბოროტად ნუ გამოიყენებთ. **მშვილდოსანი** – მშვენიერი დღეა საყიდლებზე წასასვლელად. ზუსტად იმ ნივთს შეიძენთ, რომელიც ძალიან გამოგადგებათ. **თხის რქა** – ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. მხოლოდ აუცილებელი ნივთი შეიძინეთ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად არაკეთილისმყოფელი პერიოდია. **ვერცხელი** – ხელმძღვანელობა თქვენი მუშაობით კმაყოფილია. ნუ მოდუნდებით. ქებამ არ გაწყინოთ. **თევზები** – გადაღლილი ხართ. დაისვენეთ და ძალები აღიდგინეთ. ოჯახის წევრებთან კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ქალი სოციალურ ქსელში წერს:

– არ ვაპირებ იმის დაწერას, რომ ჩემი ქმარი მივლინებაშია და სახლში მარტო ვარ, თორემ მამაკაცების რიგი დადგება ვარსკვლავის ქუჩის 15 ნომერში, მესამე სადარბაზოს ნომერ 18 ბინის კართან, რომელიც ღიაა...

●●●

ცოლი ქმარს შესჩივის:

– ჩვენი შვილი სულ წავიდა ხელიდან...

– რა მოხდა?

– მე საერთოდ ყურს არ მიგებს და ათასი სულელის ლაპარაკს უსმენს. მიდი, დაელაპარაკე...

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ამ დღეებში მაღაზიები შემოვიარე, მინდოდა საახალწლოდ საჩუქრები შემერჩია...

– მერე შეარჩიე რამე?

– ალბათ შვილისთვის იმის თქმა მომიწევს, რომ თოვლის პაპა მკვდარია.

●●●

ქალი ტელეფონზე რეკავს:

– ალო! გივი, საყვარელო, უკვე გავიღვიძე, შენ კი ჩემ გვერდით აღარ ხარ... სად ხარ ჩემო სიცოცხლევ?

– ქალო, სად ხარ, შე დედა... სად გაგეღვიძა?!!!

●●●

მამა თავის პატარა გოგონას ეთამაშება. მოულოდნელად ბავშვმა ხელი ჰკრა და ეუბნება:

– მორჩა, გეყოფა, თავი მტკივა!

მამამ გაოგნებული გამომეტყველებით მეუღლეს გახედა და ეკითხება:

– რა, ამას ბავშვობიდან გასწავლიან?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კარიმ ბენზემამ რეალთან ახალი კონტრაქტი გააფორმა

მადრიდის რეალის ფორვარდმა კარიმ ბენზემამ გუნდთან ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც, ის რეალში 2023 წლის ჩათვლით დარჩება.

ბენზემა კვლავინდებურად რეალის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია და რეალიდან წასვლას არ აპირებს.

ფრანგი ფორვარდი სამეფო კლუბს 2009 წელს შეუერთდა და მას შემდეგ მან 480 შეხვედრა ჩაატარა, რომლებშიც 233 გოლის გატანა შეძლო.

ბენზემა რეალის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია.

ბეილი ტოტენჰემში დაბრუნებას არ აპირებს



მადრიდის რეალის უელსელი ფეხბურთელი გარეტ ბეილი რეალის იანვარში დატოვებას არ გამორიცხავს, მაგრამ ტოტენჰემში დაბრუნებას არ აპირებს.

ტოტენჰემში რამდენიმე დღის წინ ჟოზე მოურინიო მივიდა და ამის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბეილი რეალში აპირებდა დაბრუნებას, მაგრამ ბეილის თქმით, ის ამას არ გააკეთებს.

სავარაუდოდ, უელსელი ფეხბურთელი ჩინეთში აპირებს კარიერის გაგრძელებას, სადაც მას ძალიან სარფიან კონტრაქტს სთავაზობენ, ბეილმა კი ერთ-ერთ ინტერვიუში გულახდილად თქვა, რომ ფული მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია.

მაურისიო სარი: „რონალდუს დასვენება სჭირდება“

იუვენტუსის მთავარმა მწვრთნელმა მაურისიო სარიმ განაცხადა, რომ კრიშტიანო რონალდუ, სავარაუდოდ, ატალანტასთან არ ითამაშებს, რადგან მას დასვენება სჭირდება.

სარის თქმით, რონალდუს მცირე ტრავმა აწუხებდა და ის ნაკრებიდან დაბრუნების შემდეგ ფსიქოლოგიურად დაღლილია:

– რონალდუს დასვენების საშუალებას მივცემ და ის, სავარაუდოდ, ატალანტასთან შეხვედრას გამოტოვებს. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ შორის რამე უთანხმოებაა, უბრალოდ, დასვენება ყველას სჭირდება.“

რივალდო: „ნეიმარი ბარსელონაში უნდა დაბრუნდეს“

ბარსელონას ყოფილმა ფეხბურთელმა რივალდომ ნეიმარზე ისაუბრა და თქვა, რომ მან დიდი შეცდომა დაუშვა, როდესაც ბარსელონადან პსჟ-ში გადავიდა.

რივალდოს თქმით, ნეიმარს ჯერ კიდევ შეუძლია ამ შეცდომის გამოსწორება, თუ ბარსელონაში დაბრუნდება:

– თუ ნეიმარს სურს, რომ მსოფლიოში საუკეთესო გახდეს, მაშინ ის ან ბარსელონაში, ან რომელიმე ინგლისურ კლუბში უნდა გადავიდეს. პსჟ-ში ის ჩემპიონთა ლიგას ვერ მოიგებს. ბარსელონადან წასვლით მან დიდი შეცდომა დაუშვა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

პაატა თედიაშვილმა და თამო ვაშალომიძემ დუეტი ჩაწერეს

მომღერალმა პაატა თედიაშვილმა და მოდელმა თამო ვაშალომიძემ ერთობლივი დუეტი ჩაწერეს.

მათ არჩევანი პაატას გახმაურებულ სიმღერაზე „უნდა შემოვიდე ამაღამ შენში“ შეაჩერეს და დუეტის პრემიერა მაია ასათიანის გადაცემა „პროფილში“ გამართეს.

როგორც მოსალოდნელი იყო, პაატა თედიაშვილისა და თამუნა ვაშალომიძის დუეტი საზოგადოების უმრავლესობამ უარყოფითად შეაფასა და ორივე შემსრულებელი დაუნდობლად გააკრიტიკა.

დიტო ცინცაძე სოჭის კინოფესტივალზე დააჯილდოვეს

ქართველი რეჟისორი დიტო ცინცაძე სოჭის საერთაშორისო კინოფესტივალზე დააჯილდოვეს.

მისმა ფილმმა „ჩაისუნთქე, ამოისუნთქე“ სოჭში საპრეზიდენტო პრიზი დაიმსახურა. საპრეზიდენტო პრიზი გადაეცა ამავე ფილმში მონაწილე ქართველ მსახიობ სალომე დემურიასაც.

დიტო ცინცაძის „ჩაისუნთქე, ამოისუნთქე“ არაერთი საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებულია. შანხაის საერთაშორისო კინოფესტივალზე ფილმმა გრანპრი მოიპოვა, ალმა-ატასა და მინსკში გამართულ კინოფესტივალებზე კი მსახიობმა სალომე დემურიამ ამ ფილმში შესრულებული როლისთვის საუკეთესო ქალი მსახიობის ჯილდოები დაიმსახურა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. მდინარე ისრაელსა და პალესტინაში; 2. მეთევზეთა, მეზღვაურთა მფარველი ღვთაება ქართულ მითოლოგიაში; 3. შემინული აივანი; 4. ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში; 5. ბიჭის მაღალი სასიმღერო ხმა; 7. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 11. იმერეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 13. წითელ ღვინოში ჩამბალი პურისგან მომზადებული შეჭამანდი; 15. „ტურ-დე-ფრანსის“ მრავალგზის გამარჯვებული ბრიტანელი ველოსიპედისტი; 16. „ფიატის“ ფირმის მცირელიტრაჟიანი მსუბუქი ავტომობილი; 18. რამეში წარმატების შესაძლებლობა; 19. ლეო დელიბის ოპერა.

თარაზულად: 6. შენობა მუსიკალური წარმოდგენებისთვის ძველ საბერძნეთში; 8. ფაიფურის მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 9. უნებლიე შეცდომა; 10. რაიონული ცენტრი სამცხე-ჯავახეთში; 12. იმრე კალმანის ოპერეტა; 14. ხიდის საყრდენი ბურჯი; 17. ქართველი კომპოზიტორი ქალი; 20. სკანდალური გამოხდომა, ქმედება; 21. ისტორიული ციხე-ქალაქი ასპინძის რაიონში; 22. პოლიგრაფიული საწარმო; 23. მამაკაცთა თავშეყრის ადგილი სოფლად.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა